

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ


K 136.034
3

ՊԵՂԱ
ՀԱՅԱ


ԲՅ



« ԵՐԵՎԱՆ ՄԱՐԶ »



Հ/Ձ



K 136. 034
3



“ՀԱՅԱՍՏԱՆԻ”

19 օձուված 69




7-6-2



ამ კრებულში შევიდა ცნობილი იურიანი მწერ-
რღვების პ. ლომიძეს, კ. გერხელიას, შ. აკესიძის,
ნ. ბარათელიას, გ. ბაბაქევიძის და შ. წვიმეგიძის
პოემები და მოთხრობები.

ქართველი მკითხველისათვის უთურდ სა-
ინტერსეციო იქნება ეს შეტად კოლორიზებული,
ჰუმანიზმით, გმირული და გაუგაცური სულიო
ვაჭდენთილი ნაწარმოებები.



8422.

9112.

-99-

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ვ ა ზ ვ ი

ნუცას, კუჩირს, ასიდას
 უყვართ თოვლში ნავარდი.
 ამ სამიღან არც ერთი
 ჯერ სკოლაში არ დადის.

აი, ახლაც თამაში
 წამოიწყეს თუ არა,
 ერთმა შაშვმა მაღალ ხეს
 ფრენით შემოუარა.

შაშვი იქნებ დაიბნა,
 იქნებ ფრენამ დაღალა;
 რადგან მოულოდნელად
 მავთულს ფრთა მიახალა.

ერთი შეიფრთხიალა,
 ალბათ იგრძნო ტკივილი,
 შემდეგ თოვლში ჩავარდა
 ხიდან მოწყვეტილივით.

ეს შენიშნა ასიდამ,
 თანატოლებს გასძახა:

— შავი შაშვი დაშავდა,
შველა უნდა მას ახლა! —

შაშვთან გაჩნდნენ ბავშვები,
ფრთხილი მიუახლოვდნენ,
ტკბილი სიტყვით მიმართეს,
ისე, როგორც ახლობელს:

— გაახილე თვალები,
შე საბრალო ჩიტუნა!
— ალბათ თოვლმა გათოშა,
ასე რად გაიტრუნა?!

დახეთ, ოდნავ შეირხა,
მიშველეთო, გვანიშნებს... —
შეიყვანეს ოთახში,
დააწვინეს ბალიშზე.

ფრთამოტეხილ ავადმყოფს
უმზერს სამი პატარა,
სდუმან, თითქოს შაშვის წინ
ყარაულში ჩამდგარან.

— რა გიშველოთ, საბრალოვ,
ვაჲ, თუ ვეღარ გადარჩი!
მამა სამსახურშია,
დედა არის ბაზარში.

აქ ასიდამ აიღო
მილი ტელეფონისა:
— დახმარება სასწრაფო
შემიერთეთ სასწრაფოდ!

და მიღაუში მოისმა:
 — გისმენთ! გისმენთ!
 რა მოხდა?
 — დაჭრილი გვყავს, ბიძია,
 მოგვეშველეთ როგორმე,
 შველა თუ შეგიძლიათ!

— რომელია, რომელი!
 თქვენი სახლის ნომერი?

ნომერი რომ არ იცის?
 ბავშვი ერთ ხანს გარინდდა,
 შემდეგ მამა ახსენა
 სახელით და გვარითა.

ერთი წუთი გავიდა,
 ორი წუთი გავიდა...
 უცებ ფართოდ გაიღო
 ალაყაფის კარი და

თეთრი ავტო მოადგა
 ეზოს, თოვლით მოფენილს,
 კარზეც, ფარზეც ეხატა
 ჭვრები ყაყაჩოსფერი...

ჰა, გაიღო კარი და —
 შინ ექიმი შემოდის;
 ექიმს ვიღაც შემოჰყვა
 ხელში მომცრო ჩემოდნით.

და ოჯახში ვინ დახვდათ? —
სამი ნორჩი ასული...
ამ დროს კიბეს მოადგა
დედა თავრეტდასხმული:

— ეს მანქანა ვინ იხმო,
ვაი, რად ვარ ცოცხალი! —
შინ შესულმა სურათი
ნახა გასაოცარი:

დგას ექიმი, იცინის,
სანიტარიც იცინის,
ოლონდ სამი პატარა
განაბულა სირცხვილით!

მამლაყინწა ტრაბახობს:

წითელი მაქვს ბიბილო,
შემიძლია ტყე და ტყე
ზელზე მარდად ვირბინო.

გუშინ მელა დავაფრთხე,
წელან ქორი დავაფრთხე;
ფრინველების მწყემსი ვარ,
მაბარია საქათმე!

ძალებს დაუტატანებს:
თქვენ რა იცით ძალებმა? —
მხოლოდ კუდის ქიცინი,
მხოლოდ პირის გალება.

აბა, დოყლაპიებო,
ნუ იყეფებთ ხმამაღლა!

თუ არ გინდათ კინწისკვრა,
 თუ არ გინდათ გალახვა.
 იცინიან ძალლები:
 ერთი ამას დახედეთ!
 ნეტავ ქვეყნად რა აჩენს
 ამისთანა თავხედებს?

ერთ დღეს ეზოს მოადგა
 დამშეული მელია;
 შუადღეა ქათმები
 ხიფათს არც კი ელიან.

ჩრდილში თვლემენ ძალლები,
 დასვენება სწადიათ;
 დღისით ჭურდს და ავაზაკს,
 არ ელიან, ცხადია!

ამ ეშმაქმა მელიამ
 რა კარგი დრო იხელთა,
 მამლაყინწა შენიშნა,
 როცა მიმოიხედა.

ერთი სწრაფი ნახტომით
 მასთან გაჩნდა, მზაქვარი,
 მოუჭირა კბილები
 სადგისებისმაგვარი.

და უეცრად ძალლები
 წამოიჭრნენ ჩეროდან.

მაგრამ მელამ მოკურცხლა,
 თვისი მუხლის სჯეროდა.
 მირბის მელა, თან მიაქვს
 ცოცხალ-მკვდარი მამალი,
 ეგულება ულრანში
 საფარი და სამალი.

მაგრამ გზები მოუჭრეს,
 მოამწყვდიეს ალყაში.
 მელა თვითონ ჩავარდა
 ქოფაკების ხახაში.

...მალე მოსულიერდა
 მამლაყინწა დაჭრილი.
 და თუმც მამლის მაგიერ
 იყო მამლის აჩრდილი,
 ბიბილოზე ქლანჭები
 სიამაყით გადისვა:
 შევარცხვინე ცხვირ-პირი
 თქვენისთანა ძალლისა!

თუმცა გქვიათ ძალლები,
 ლეკვებიც კი არა ხართ,
 წამალივით გჭირდებათ
 დღეში სამჯერ გალახვა!

მე ხომ მელას შევები!..
 სად იყავიო აქამდე?!


გიჯობთ, სული გაქმინდოთ.
სირცევილისგან გაქვავდეთ!

ცინიან ძალლები:
ერთი, ამას დახედეთ!
ნეტავ, ქვეყნად რა აჩენს
ამისთანა თავხედებს.



ଶାହୀପରିବାର

ଶାହୀ
ପରିବାର



1

პიონერთა სახლში დღესაც
 ზეიმი აქვთ ბავშვებს ისევ.
 მათ თვალებში სხივი ჰკვესავს
 და გულებში სიხალისე.

მინებს შუქი გადაღვრია,
 დღე ფანჯრების მიღმა დნება
 და კედლებზე ვარაყიან
 სურათების ბრწყინავს წყება.

წითელს მწვანე ფერი ავსებს,
 ყვითელს ლურჯი მოჩევია
 და დარბაზი მართლაც ასე
 უთვლელ ფერთა მოჩევია.

ურუანტელი სხეულს უვლის,
 ხარობს ასი გული ერთად.
 ...აქ, ამაღამ მეგობრული
 შეხვედრაა პიონერთა...

შეკრებილა, ვინც კი ეტრფის
ბუნებას და ესმის მისი,
ვინც შეიძლო სხვაზე მეტი
და შექების გახდა ლირსი;

ვისაც ყველგან — შინ და გარეთ,
მიჩურინელს ეძახიან,
ვის წინაშეც მსხმოიარე
ხეხილები თავსა ხრიან;

ვინც ნერგს რგავს და ნარგავს უვლის,
ვინც წალკოტი გაახარა,
ბალჩა-ბალი მთელი გულით,
მთელი სულით შეიყვარა;

ვინც იფარა ცოდნის ფარი;
ხუთზე სწავლობს, ჩვეულებრივ...
ერთი სიტყვით, ჩვენი მხარის
შეკრებილან აჩეულები.

შეპხარიან ერთურთს ახლა
და სიტყვები აღარ ჰყოფნით.
მოსულან და თანვე ახლავთ
სურნელება გამზრდელ სოფლის.

აგერ, მდგრი ტოლთა შუა,
საუბარს რომ უხმოდ ისმენს,
ნაპარია, აშხარუა,
დუმს და თითქოს უფრთხის კისძეს.

თავს არავის გააბეზრებს,
არც სჩვევია მალვა თავის.
ქამარ-ხანჯლით ვიწრო წელზე
დგას ტანაყრილ აღვასავით.

თრთის და ბზინავს ტარი ყამის,
ბუდე ოდნავ რუხი არი...
ო, ცერებზე შედგეს ლამის
ჩოხაახალუხიანი.

გაპარვია დრო სრულებით,
წაულია ბიჭი ფიქრებს...
ნაპარივით მორთულები
მეგობრები ჩანან იქვე:

ერთს რაედენი ჰქვია, ვიცი,
მებაღეა კარგი მეტად.
ნაპარს მისცა ძმობის ფიცი,
რა დაარღვევს ამ ფიცს, ნეტავ-

უწოდებენ ერთსაც თემირს,
ხედავთ, ხანჯალ-ყაწიმიანს,
ეს მესამე გმირიც ჩემი
მოწინავე ყმაწვილია.

რა ბავშვობა ღირსებიათ,
რა დღეები, რა დარები...
ბიჭებს ირგვლივ მისევიან
მათზე უფრო პატარები..

უმზერ, სულში ჩნდება ალი,
გრძნობ, ერთბაშად გულში დათბა..

დასტრიალებს მზრუნველ თვალით
ჭელმძღვანელი კუჭირ ჯათბა.

უცებ, როგორც ელვა ჭალის
მათ წინ ფართოდ გახსნეს კარი
და დარბაზში ჩნდება ლალი,
მოზეიმე ბავშვთა ჯარი.

როგორ აღწერს კაცის ენა,
რაც იგრძვნეს და დაინახეს:
მაღლობივით მოჩანს სცენა
და ნიავი ფარდებს არხევს.

ჭალს გუმბათი ეხურება,
ჭეასწია ფრთები ფარდამ.
თვალმა ამის შემყურემა
რაღა იგრძნოს ლხენის გარდა.

სხივი ცვივა ფარდებიდან,
პატარებო, ჰაუ, წყნარად,
სცენა ყვავილ-ვარდებითა
ბიონერებს დაუფარავთ.

მათ დარბაზი ხვდება ლხენით,
უცნობია ვინმე, განა?
აგერ ნორჩი მებალენი
სცენის გულში მწკრივად დგანან.

ნათელს ფანტავს ოქროს ტბორი,
შუქს მიეცა მეტი ძალა.
დგას ნაპარი იმათ შორის
და სიხარულს ვეღარ მალავს.

დგას ნაჰარი და ხეხილი
გარს არტყია მაღალ ღობედ,
ჭიგოები დაგრეხილი
ჸარვა ყურძნით ამაყობენ.

ყვითლად ღვივის ფორთოხალი,
მანდარინი მკერდნაფერი,
მარწყვის ბუჩქმა მორთო ხალი,
ხარობს, ლალობს ყველაფერი.

მსხალს ნიავმა დაუარა,
ჴა, საცაა ტოტებს გაშლის
და აჯხაზი ბიჭის გვარად
სიკოხტავეს არ თმობს ვაშლი.

ფეხზე დგება ხელმძღვანელი,
არ მალავს და საქებს აქებს:
— წინ გზა გიდევთ ჭერაც ძნელი,
კაცს ყოველთვის აჩენს საქმე.

ვინაც იცის ამის ფასი,
გზა არა აქვს ნისლიანი,
ვინც მზრუნველობს ბალს და ყამირს,
მომავალიც მისი არი.

დავაუკაცდეთ ასე უნდა,
ტანმრთელებად, ჭანმრთელებად.
დე, ბავშვებო, ოქვენით მუდამ
ვიამაყოთ გამზრდელებმა.

მერე სიტყვა ითქვა ბევრი...
ჴა, ნაჰარის დადგა ჭერიც...

აშრიალდა მწვანე ტევრი,
გალამაზდა მაღლა ჭერი.

ყურს უგლებენ ნაპარს ახლა
ტოლ-სწორები გატაცებით:
— ჩვენს ნახელავს სად არ ნახავთ,
ვირჯებით და არა ჰცხრებით.

თითქოს აქაც ჩანს და ბრწყინავს
აფხაზეთის მთა-გორები
და ეს ლექსი ტოლთა წინა
წაიკითხა შთაგონებით:

— ბაღო, ბაღო, ბაღჩაო,
კარგი ხარ და ქებული.
ბაღო, ბაღო, ბაღჩაო,
მუდამ ჩვენთან გვეგულვი.

ტოტებატოტებული,
ფოთლებამწვანებული...
ბაღო, ბაღო, ბაღჩაო,
კარგი ხარ და ქებული.

მდელოს არწევს ნიავი,
ირმის ფეხით მოთელილს...
გაშლის, მსხლის და ქლიავის-
შრიალებენ ფოთლები.

ბაღს ვაღვიძებთ და-ძმები,
კისკისით და სიცილით.
აგერ, მწვანე ნაძვები, —
იაგუნდთა ციმციმი:

ამტანი და გამძლები,
სიცხისა თუ სიცივის...
ბალს ვაღვიძებთ და-ძმები,
კისკასით და სიცილით. —

...ჰა, ნაპარის ირგვლივ ნელა
მოიყარა თავი ყველამ.
და ბიჭუნას სახეს თითქოს
გადაევლო ცისარტყელა.

უცებ მწვანე ხეთა ზღვაში
მიიმალა გუნდი ბავშვთა.
მერე დასცხეს ცხელი ტაში,
ფეხი თვითონ შეთამაშდა.

ჰა, ნაპარიც... ნახეთ, როგორ
ბზინავს სცენა სარკესავით.
მხრებში უდგას ტოლი გოგო,
თვალით ელვის გამჭვესავი.

უკან მოსდევთ გრძელი რიგი
ბიჭუნათა, გოგონათა.
ახლაც მახსოვს ცეკვა მათი
და ჟველაფერს ვხედავ ნათლად...

2

ზეცა საავდროდ მზად არი,
ძვალ-რბილი ყინვამ დააზრო,
შემონი, ასეთი ზამთარი
არ მოგვსწრებია არასდროს.

ქალაქის ბაღში ნაპარი
მოდის, ტოლებთან გართული....
ეს რა ხმა მოაქვს რადიოს
არგაგონილიც, ართქმული.

— ყური დაუგდეთ, — ნაპარმა.
ბიჭებს შესძახა მაშინვე, —
— ყინვაა მოსალოდნელი,
ციტრუსთა ბედი მაშინებს.

გესმით, სიცივე ხვალ დილით
ათ გრადუსამდე დავაო.
სკოლის ბაღს თუ არ მივხედეთ,
გარჩა ჩაგვიცლის ამაოდ.

თოთო ნარგავებს ყინული
მოსპობს და გაგვიტიალებს.
მე ახლა ფიქრით იქა ვარ,
პლანტაციაში ვტრიალებ.

უნდა წავიდეთ ახლავე,
მოვნახოთ რამე საშველი...
— აბა, ამაღამ სად წავალთ, —
ერთხმად აუივლდნენ ბავშვები.

— თქვენ როგორც გინდათ, ჩემი კი
ურყევი სიტყვა ეს არი:
აქ ვერ დავრჩები, როდესაც
იქ ბალი მელის მკვნესარი.

— სწორია, — ამბობს რაჟდენი, —
მაგრამ სად წავალთ ამ ღამით.

— უნდა წავიდე ახლავე, —
ისევ ჯიუტობს ნაპარი.

— დღესავით მახსოვს, გაზეთში
ასე ეწერა ერთხელაც:
მოსპო და გააჩანაგა
ბალები მსგავსმა შემთხვევამ.

— იქნებ, აჯობებს დავრეკოთ,
სოფელს ვაცნობოთ ყოველი.
ჩვენს ბაღს აქამდეც უჩვენოდ
არ დაჰკლებია მომვლელი.

— თქვენ არ მოდიხართ, მე წავალ,
არ ვუკრთი გზას და ყიამეთს.
მხოლოდ ერთსა გთხოვთ: ხელმძღვანელს
მოუთხროთ, რაც მითქვია მე... —

მცირე გზა განვლო... მანქანას
წინ დახვდა, ხელი ასწია.
უმალ გაქანდა სოფლისკენ
ჩვენი ნაპარი პაწია.

შეცბუნებული ბიჭები
გზას გაჰყურებდნენ შემკრთალნი.
— მართლა წავიდა, ეს რა ჰქნა,
ვერ გაგვიგია, ღმერთმანი.

— დროზე ვუამბოთ ხელმძღვანელს,
გვიანიცაა, მგონია, —
თქვა ოემირმა და სწორები
უკანვე გაიყოლია...

გაიყვანდა ღეღა ადრე,
ციცქნა ნაპარს, ბალჩის სტუმარს.
თვალს მოჰკრავდა ყვავილს საღმე,
გაჩნდებოდა მასთან უმალ.

ყვავილივით გაიზარდა,
წითლად ლოყებდანაფერი,
სწავლისა და შრომის გარდა
არ ეწადა არაფერი.

მუდამ ედგა შუქრ თვალებს
სიცოცხლის და გახარების
და მებაღეც გახდა მალე
მასწავლებლის დახმარებით.

ტოლ-სწორებთან მხარი მხარში
ნერგს რგავდა და ზრდიდა ზრუნვით,
აბრუებდა მწიფობაში
ახლად შესულ ატმის სუნი;

დამარჯნული ბროჭეული,
დაკვირტული ტოტი ვაშლის,
შინდის შუქურ-ძოჭეული,
ალვა, მწვანე ფრთებს რომ გაშლის;

ახარებდათ ბავშვებს ერთალ
ციტრუსების ბაღში შრომა,
ქარვისა და ოქროს ფერთა
ზღვად მომდგარი შემოდგომა.

ბარავდნენ და თესლნენ თვითონ,
შავ ბელტებად ჩახნეს ხნული,
მარჩენალი მიწის სითბო
შეირგეს და იგრძნეს გულით.

რა არ შესძლეს ბაღჩისათვის
ბიჭუნებმაც, გოგონებმაც,
აოცებდათ დიდებს მათი
წადილი და მონდომება.

არ უცქერდნენ გარჯას შიშით
პატარები — ერთი კბილა,
და ახალი ვაშლის ჯიშის
გამოყვანაც ერგოთ წილად.

ახლაც შრომა ახალისებთ,
ტოტს სხლავენ და სახნავს ხნავენ.
კვლავ ნაპარი მათში ისევ
ყმაწვილია მოწინავე.

4

ნაპარს მანქანა მიაფრენს,
მიჰქერის და ვერ გრძნობს სიცივეს.
გულში იძედი კიაფობს
და ცისკრის შუქი ციმციმებს.

მანქანა უცებ გაჩერდა,
ჯერ ხომ შორსაა სოფელი...
და აბუზლუნდა საჭესთან
ორად მოხრილი შოთვერი:

— გვიმტყუნა ძრავაშ ახალმა,
სამწუხაროა ძალიან... —
და თავი ისე დახარა,
თითქოს და. მისი ბრალია.

— ფეხით გავივლი, თუნდ გული
მკერდიდან ამომივარდეს,
ბოლოს და ბოლოს თხუთმეტი
კილომეტრია იქამდე... —

მიღის, არ შეშინებია,
მარას მიჰყვება გათქერილს.
მარცხნივ ციცაბო მთებია,
მაღლიდან მოქუს ჩანჩქერი:

მარჯვნივ ძღინარე ჩქრიალით
მისდევს პირლია მთა-ხევებს.
კლდეები თავზაჩქნიანნი
ნისლის თავსაფრებს არხევენ.

ძირს შევენილა მუხნარი,
უწყობო შქერიან ბილიკით.
პირაქეთ ტყეა ულრანი,
ხევ-ხვევბია პირიქით...

გვლი ყველაფერს აიტანს,
ან რა იღონოს უძლურმა,
ჩუ, სადღაც ფიჩი ჩაიმტკრა,
ჩუ. დათვემა გაიძუნდულა.

სულს უმღვრევს ფიქრი უჭიათს,
შთოთიანი და მტანჯავი,

და მუჭში ჩაუბლუხია
იმედად ტარი ხანგალის.

თეთრ მთებს გაჰყურებს უბარი—
ზედ მიფენილი ღრუბლებით,
ჩანან ჩუმნი და მდუმარნი
კლდეთა პრიალა შუბლები.

5

ტყის იდუმალ სიჩუმეში
მზემ ჩაპყიდა ოქროს ეშვი,
გაახილა დილამ თვალი,
ხელი გაპკრა შუქმა ბინდნარს..
ვა, ნაპარიც ფერშემკრთალი
გამოვიდა ხეობიდან.

და ბილიკით აჰყვა გორაქს...
სოფელს დაშორიშორა
ერთმა მთამ და ღელემ მხოლოდ:
ახლა ერთი წუთი ქმარა —
ჩელტის ხიდზე აიქროლოს
და განაგრძოს მშვიდად შარა.

საცალფეხო ხიდი წინა
ცისარტყელას ტოტად ბრწყინავს.
ხიდი მალე გადიარა,
ის მთაც მალე გადიარა
და ცის კიდემ ვარდიანმა
გული დაუდარდიანა...

ეს რა ხდება საოცარი:
ცეცხლი ბრუნავს კალოსავით,,

ნუთუ იწვის მისი სკოლა,
თვალს წვავს ბოლი ადენილი.
ეზოებშიც კვამლი ბოლავს
ლეგა ღრუბლის ფარდებივით.

ცა წითლდება. ზეცის კიდეს
ცეცხლმა გაჰქრა თითქოს კიდეც
მობრიალე ფრთები გრძელი
წითელ-წითელ ყაყაჩოთა...
ეს სურათი შიშის მგვრელი
არ ენახა, — არა სჯობდა!


მაგრამ ეს რა ხმები ისმის,
რა ლხენაა, რა ხალისი.
რა სიმღერა-ყიუინია,
რად შეყრილა ხალხი გარეთ,
ბალჩა-ბალებს უინჭლილიანს
რა სიცოცხლე ახმიანებს.

თურმე ბალის მოსავლელად
მიატოვა სახლი ყველამ,
თურმე განა უმიზეზოდ...
დაუნთიათ ცეცხლი ჩქარა...
დახე, ბიჭო, სკოლის ეზო
ყინვისაგან დაუფარავთ...
აგერ შენი ხელმძღვანელიც,
წარბშეკრული დგას და გელის,
თავს რიღათი გაიმართლებ,
ის ხომ შენს კვალს აედევნა...
ჩემო ნაპარ, იცი შენაც,
რომ ხვალ მეტი ფიქრი გმართებს.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ



ՀԱՅ



დედა თავის დიგუას „მეჭეჭეს“ ეძახის, მაგრამ განა ასეთი პატარაა? თუ დაავალებენ, შეუძლია, მეზობელთან გაიქცეს, მოშორებით რომ სახლობს, ბექობზე, და ასანთი ან სხვა რამ საჭირო ნივთი მოაჩინენოს. დამშვიდებული იყავით, დიგუას გზაში არაფერი მოუვა, ძალიან ჭკვიანი ბიჭია. ეგაა მხოლოდ, ჯერ სკოლაში არ დადის, შინ მარტოა დიგუა, თავისი კბილა ახლომახლო არავინა ჰყავს. ვის-თან ითამაშოს?

უფროსები სკოლაში არიან, თავი ამაყად უჭირავთ, დიგუას აღარ კადრულობენ, ამასთან, ზაფხულობით ჩაის საკრეფად დადიან პლან-ტაციაში, აღარ სცალიათ, დედ-მამაც შინ იშვიათად არის. საუზმეს კარადის დაბალ თაროზე უტოვებენ, ფრთხილად ჩამოიღებს და შეჭიამს. გამოვა ეზოში. მწივანა წიწილებს საკენკს დაუყრის, შემდეგ ბოჩოლასთან ხტუნაობითა და სირბილით გულს იჯერებს, ხან პეპლებს გამოეკიდება, მაგრამ ესეც ჩქარა მოსწყინდება და უცებ ტირილი მოუნდება დიგუას. თუ წვიმა წამოვა, სახლიდან გარეთ ვერ გამოდის. ღობე, სასიმინდე, ხეები დასველებული დგანან, ხოლო სახურავიდან ლაფაროში ბუყბუყით ჩამოდის წყალი. იჯექ სამზადში ან ოდის აივანზე! სათამაშოები ცოტა აქვს. ჭრელ კატას არ უყვარს, როცა მას ციცქნა ურემში შეაბამენ, კნავის, ხელიდან გაუსხლტება დიგუას და სხვენზე ავარდება, ზის და საათობით თვლემს, იცის, რომ იქ ვერავინ მისწვდება.



მაშ რითი მოჰკლას დრო? დიგუას თვალი ხშირად გაჭირებულია ხოლმე ძველი თოფისკენ, სამზადში კედელზე რომ ჰყიდია კომბალი-ვით გრძელი, ღვედშებმული. სადაც კაუია აშვერილი, ოდნავ მოღუნულია, ხის ნაწილი გველის კანივით ძევს აჭრელებული, რკინის ლულა კი ნახშირივით შავია. ხანდახან მამა ჩამოიღებს, დააჩხავუნებს, „უ... ჭუხ!“ — გაისმის გუგუნი და ლულიდან ცეცხლის ენა გამოვარდება, დიგუა იმ კედელთან იშვიათად მიდის, ეშინია... ერთი ორგერ თითი მიადო მოლიპულ ლულაზე, მაგრამ სწრაფადვე გამოსწია უკან:

— იცოდე, თოფს ახლოს არ გაეკარო! — ყოველთვის აფრთხილებს მამა, — გაიზრდები, გაჩუქებ, ამით შენს პაპას ბევრი დათვი და მგელი მოუკლავს, შენც ინადირება...

„თოფი რად მინდა, რაში მჭირდება, ნუ მაჩუქებს, უკეთესია, იქ ექიდოს!“ — ასე ფიქრობდა შეშინებული დიგუა.

ბავშვი ხშირად ხედავდა, რა სიყვარულით გადაუსვამდა ხოლმე გამა ხელს იმ ძველ თოფს, ხან ნაწილ-ნაწილ დაშლიდა, ჩვრით გაწმენდდა და თხის ქონს წაუცხებდა. დიგუა თვალს არ აშორებდა, მამის გვერდით უფრო გაბედული იყო. თოფის დაშლილი ნაწილები ნამდვილი სათამაშოები ეგონა, ხელში აიღებდა და ატრიალებდა. მაგრამ მამა დაუცაცხანებდა ხოლმე.

— ადექი, წადი აქედან, ეზოში ითამაშე, თოფი შენი საქმე არ არის!

დიგუა ეზოში გამოვა, მაგრამ იქიდანაც უთვალთვალებს, როგორ იქცრიტება მამა ლულაში... სად უნდა წავიდეს? ნელ-ნელა ისევ გადმოაბიჯებს ზღურბლზე და მამას ფეხებში ებლანდება.

ბიჭი უცდის, როდის დაიწყება მეორე საინტერესო სანახაობა. მამა ისევ ააწყობს თოფს. მაშინ უსათუოდ ორ-სამჯერ კაუს შემართავს, დააჩხავუნებს და საიდანლაც ციცინათელები ცვივა, თუ საღამო უამია, ნაპერწკლები ისე ელავენ, დიგუა უნებლიერ ახამხამებს თვალებს.

ერთხელ მამამ თვითონ დიგუას დააჭერინა თითი დაბლა, სასხლეტზე. ნაცნობი ჩხაკუნი გაისმა, ნაპერწკლები ბლუჭად დაცვივდა...

ამის შემდეგ ეს ხისა და რკინის ჭოხი დიგუას შიშაც ჰევრიდა და სიხარულსაც...

მერე აღარ ეშვებოდა მამას.

ბოლოს ასწავლეს, როგორ შეეყენებინა ჩახმახი:

— აქეთ მოსწიე, მხოლოდ ღონივრად!.. — დიგუა ცერით ჩაეკიდა, მაგრამ ვერ შემართა... ჩახმახი ხელიდან გაუსხლტა, დაიჩხაკუნა, მაგრამ ნაპერშექლები არ გადმოყარა. მამამ თოფი კედელზე დაჭკიდა და ღიმილით უთხრა:

— ჯერ ფაფით მაგრად უნდა გაძლე, რომ ძალა შეგემატოს... თოფი კი ისევ აქ ეკიდოს, ხელი არ ახლო!...

დიგუას სანუკვარ ოცნებად ექცა, როგორმე ბოლომდე მოეზიდა კაჟი და ჩახმახი შეგემართა.

როგორც კი მარტო დარჩებოდა, მაშინვე კედელთან მიირჩენდა და იმდენ ხანს ეჭიდებოდა ჩახმახის, სანამ თითები არ გაუთვალიანდებოდა, მაინც ვერაფერს გახდა, ვერ იქნა და თოფი ფეხზე ვერ შეაყენა.

მოსვენება დაეკარგა დიგუას. ახლა ყველა სათამაშო მიყარა და სულ თოფს უჩინებენდა. ძილშიაც კი ჩახმახი ის კაჟიანი ჩახმახი... ვითომ ეწევა, ეწევა... ჰა, საკაა შემართავს, და უცებ ხელი მოეცარა. სად იყო და სად არა, ჩხიკვის მართვემ ცერზე ისე ჩაუნისკარტა, დიგუამ სიმწრით შეპყვირა და გამოელვიძა კიდეც.

აი, დადგა ის დღეც, როცა კუნთებდაძაგრულმა დიგუამ ჩახმახის ჭიუტობას სძლია და ბოლომდე მოსწია ჩახმახი. სიხარულით ხმამალლა გადაიხარხა ბიჭმა. ათრთოლებული საჩვენებელი თითით სასხლეტი გამოსწია. ერთბაშად ათი ციცინათელა მაინც აფრინდა ჰა-ერში. თავბრუდახვეულმა თავისი გამარჯვება კინალამ მამას ახარა, როცა ის საღამოს თოხით ხელში ყანიდან დაბრუნდა, მაგრამ დროზე მოიკვიტა ენა...

ახლა მოწყენილი აღარ იყო დიგუა. თოფს ჩამოხსნიდა და თამაშში დრო ისე გარბოდა, საჭმლის ჭამაც კი ავიწყდებოდა.

ის იყო ზაფხული მიილია. პირველ სექტემბერს სკოლაში უნდა

წასულიყო, ანბანი და რეეულები მამამ უკვე მოუტანა და კედელზე დაკიდულ ჩანთაში ეწყო, მაგრამ დიგუას ისევ თოთისკენა პქონდა ჭკუა. მოთმინებით უცდიდა უფროსების წასვლას, მივარდებოდა თოფს, ლურსმნიდან ჩამოხსნიდა, განიერ ფიცარზე დადებდა, ასე უფრო ადვილი იყო მისი შემართვა, მოსწევდა ჩახმახს, შემდეგ სასხლეტზე დააჭერდა. ციცინათელები აფრინდებოდა ჰაერში. მერე სათამაშოს ოდის დერეფანში გაიტანდა, ლულას რიკულებს შუა გაპყოფდა, კონდახს მხარზე მიიჭერდა, როგორც მამამ იცის ხოლმე გასროლის წინ და ისევ გაისმოდა სანატრელი ჩხაკუნი.

ერთხელ მამა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მოულოდნელად წადგა თავზე. დიგუამ ის იყო თოთი შემართა, ლულა რიკულებში გაპყო და ბოჩოლას შუბლში უმიზნებდა, ბოჩოლა იქვე ოდის წინ უზრუნველად ბალახობდა.

— ჰეჰე! ყოჩალ, ჩემო ბიჭო, ყოჩალ! გამახარე და ეგაა, აბა, მაჩვენე, როგორ ისვრი!

დიგუას ერთბაშად თავზარი დაეცა, მოფერებამ დაამშვიდა, მაგრამ ახლაც დაეჭვებული უყურებდა მამას, ჩახმახი მაინც შეაყენა და სასხლეტს გამოსწია.

— ძალიან კარგია!.. ყოჩალ!.. დიდი ხანია თოფს ეთამაშები? დიგუამ თავი ჩაუქნია.

— აბა, მოიტა აქეთ! — დიგუამ შენიშნა, როგორ უთროთოდა ტუჩები მამას. მან ფრთხილად ააცალა თოფი და იმავ წამს ისეთი სილა გააწინა, ციცინათელები ახლა თვალებიდან წამოსცვივდა ბიჭუნას.

— ოჳ, შე საძაგელო!.. რამდენჯერ მითქვამს, ხელი არ ახლომეთქი? როგორ გაბედე! — ესმოდა მრისხანე ხმა.

ამის შემდეგ ბიჭს თოფი თვალითაც არ უნახავს, სანამ ერთხელ ქორი არ დაეცა დედალს.

იმ დღეს ჭიშაქართან ბრიგადირს არ დაუძახნია, სიმინდის სათოხნად წამოდითო. მამა შინ იყო, ალაგეს ასწორებდა, დედა ბოსტანში ფუსფუსებდა.

— ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! — დედამ კივილით აუქშია ქორს. პირველი და დედამ შენიშნა. ქორი მსუბუქად გადაევლო ოდის სახურავს და ეზოდან წიწილა აიტაცა, წიწილა კი არა, შებუმბლილი, მოზრდილი ჭვინიჩილა იყო. ძლივს აათრია. დაბლა, ღელესკენ გაფრინდა და იქ ბუჩქებში ჩაჯდა. დიგუამ შენიშნა, მამა კი ისევ ალაგესთან იდგა და ბუზღუნებდა.

— რას შემოგვეჩვია ეგ წყეული, სანამ ყველას არ მოიდნობს, არ მოგვეშვება...

დიგუამ ხელის ქნევითა და ხმამაღალი ძახილით მიირბინა:

— მამიკო, მამიკო, შეხედე, ეგერ ჩაჯდა... ძლივს მიფრინავდა... ბუჩქებში ზის.

მამა შევარდა ოდაში, თოფი გამოიტანა და წელში ორად მოხრილი იმ ბუჩქისაკენ გაექანა.

— თოფი! — გული შეუტოკდა დიგუას, მივარდა ღობეს, აძრა ზევით და იქიდან უყურებდა...

მამა შუაგზამდეც არ იყო მისული, ქორი თავისი ნანადირევით პაერში აფრინდა და თავს უშველა...

დედამ წყევლა-ქრულვა მიაყოლა, ხელმოცარული მამა კი წელში გაიმართა, თოფი მხარზე გაიდო და უგულოდ მობრუნდა შინ.

კიბეზე რომ აღიოდა, მზეზე გაიელვა თოფმა და დიგუას თვალი მოსჭრა.

მალე მამამ წალდით ხელში ტყისკენ გასწია, ფიჩხი უნდა მოეტანა...

„თოფი რა უყო, ნეტავ? — ფიქრობდა დიგუა, — სად დამალა⁹ იქნებ კიდობანსა და კედელს შუა ჩააყუდა, ან იქნებ თავის აღგილას ჰკიდია!“ — ცნობისმოყვარეობა ჰქლავდა.

— ჩემო ბიჭიკო, ნანა, მე ერთ წუთს ბიცოლასთან გადავალ! შენ არსად წახვიდე, აქ ითამაშე! — თავზე დედა წამოდგომოდა დიგუას და ალერსიანად ეუბნებოდა, — გესმის, ნანა, არსად წახვიდე!

ბიჭს გაუხარდა, მარტო რომ ტოვებდნენ, აი, ახლა იხელოებს, დროს და საწადელს შეისრულებს.



— კი, დედილო, არსად წავალ, აქ ვიქნები, ეზოში, ნუ გუშინი
ნია! — ხმამალლა შესძახა დიგუამ.

დედა წავიდა თუ არა, დამდუღრულივით ფეხზე წამოვარდა,
ჯერ სამზადში შეირბინა, იქაურობა გაჩხრიკა. თოფი არსად იყო.

ახლა ოდაში შევარდა ბიჭი, ხმაურით გააღო კარი, კედლებს
სწრაფად გახედა, მერე ლოგინქვეშ შეძვრა და რიგ-რიგად ქვეშაგე-
ბიც კი გადასწია.

შემდეგ წინა ოთახში კედელსა და კიდობანს შუა დიდხანს აფა-
თურა ხელი.

„არა, ნამდვილად საკუჭნაოში დამალა, — იფიქრა მან, — ამ პა-
ტარა და ვიწრო ოთახში რა სანუკვარ ნივთს არ იპოვი!.. — უცებ
გონს მოეგო. — იქ ძველი ლეიბები ყრია... იქ, ლეიბებში, იქნება...
ზამთარში ხილიც იქა აქვთ შენახული, წითელი ვაშლები, ბროჭეუ-
ლი, ნიგოზი, თაფლივით ტკბილი ხურმა... ნამდვილად იქ არის!..
თქმა არ უნდა!

კიბეზე ცოცდა და კარი გააღო, საკუჭნაოში ბნელოდა, ბიჭმა
ფრთხილად მიმოიხედა... შემდეგ სწრაფად მივიდა სანათურთან და
ფიცარი გადასწია, მზის სხივები ძნებად შემოქრა და პირდაპირ კე-
დელზე, როგორც ეკრანზე, თოფი გამოაჩინა... დიგუა თავდავიწყე-
ბით გადახტა და ცივი რკინა ორივე ხელით ჩაბლუხა.

ჩახმახი შემართა და სასხლეტსაც გამოსწია, უცებ იელვა და და-
იქუხა: „უ... უ... ა“. კონდახმა ისე მაგრად შემოჰკრა მხარზე, რომ
ბიჭი იატაკზე დაენარცხა. „ნამდვილად ჭერი მექცევა თავზე“, —
გაპერა ფიქრმა დიგუას. მოიკუნცხა, თავზე ხელი იტაცა. ყურში ზუ-
ილი ჩაესმა, თითქოს ათასი ჭრიჭინა ერთად აჭრიჭინდა. იატაკიც
ბამბასავით რბილი იყო, დიგუა ბარბაცებდა, ცხვირში დენთისა და
დამწვარი ჩვრის მწვავე სუნი სცემდა.

ბიჭი მიხვდა: თოფი გავარდა, რა ხმა გაიღო! მთელი სოფელი
გაიგონებდა. მამაც მორბის ალბათ, უშეშოდ და უწალდოდ, ში-
შით გულგახეთქილი და აქვე მწოლიარეს მოუსწრებს. ის იყო წამოხ-
ტა და მოჰკურცხლა, უცებ თოფი შენიშნა იატაკზე, კარგი იყო, ისევ

ლურსმანზე დაეკიდა, მაგრამ შემკრთალმა ახლა ხელის ხლებაც ვკრავ გაბედა. ეზოში ზარდაცემული გამოხტა. სიმინდის ყანაში შლიგიგი შევარდა. მერე ლობეს მიაწყდა, მაყვლის ბარდში შეძვრა, ჭინჭარმა დასუსხა და ეკლებმა დაკაწრეს. ეგ არაფერი, საიმედო ადგილას კარგად მოიკალათა და მხოლოდ ახლა გადმოსცვივდა ცრემლები... ტიროდა ჩუმად და უხმოდ...

მამის ხმა არ ისმოდა... რატომ არ მოიჩინა?

დიგუამ ბარდიდან თავი გამოყო და მუხლმოკვეთილი იქვე ჩაიკეცა. საკუჭნაოს ფანჯრიდან კვამლი ბოლქვ-ბოლქვად ამოდიოდა. სახურავზე შავი ბამბა ხრჩოლავდა. „ხანძარია!“ — ბიჭმა წარმოიდგინა, რომ ძველ ბამბას ცეცხლი წაეკიდა.

დიგუა საფარიდან გამოხტა, რომ დედისთვის დაეძახა, მეზობლები შეეყარა, მაგრამ ბოსტანს იქით, ჭიშკართან, თვალი მოჰკრა მამის ნაბდის ქუდს. ბიჭი ისევ ბარდში შეძვრა და მიწაზე პირქვე დაემხო. სულგატრუნულს მამის უმწეო ბლავილიდა ჩაესმოდა: „ვუი... ვუი, აბააქვა,* სახლი იწვის, მიშველეთ!“ — შემდეგ გაისმა ჭიშკრის ჭრიალი და ეზოში შემოცვივნულთა ყვირილი. ვედროების ჩხარა-ჩხური, ჭის ჯალამბრის ხრჭიალი, წივილ-კივილი—ყველაფერი აირია ერთმანეთში. დიგუა უხმოდ ტიროდა, თითქოს კვამლი სჭამდა თვალებს და ცრემლებს ის აყრევინებდა, თავი უსკდებოდა, გული ერეოდა, თითქოს მთელი ქვეყანა უმზადებდა საშინელ სამაგიეროს. ვინც ახლა აქ დარბიდა, ხმაურობდა, ყვიროდა — ყველა თავის მტრად და მოსისხლედ მიაჩნდა.

დედის თავგანწირულმა კივილმა შეაკრთო ბიჭი:

— დიგუ... უა! ნანა! შვილო! სად ხარ, ბიჭო! დი... ვუ... ა! — ისე შემზარევად უძახდნენ, ბარდში რაღა დააყენებდა? უჩინარმა ხელი ჭკრა და ფეხზე წამოახტუნა.

თავზარდაცემული ფორთხვით მიდიოდა ეზოსკენ. სახეზე ხელი წაეფარებინა, მაინც ხედავდა: ოდა გადაურჩენიათ, ხალხი დარბის

* მწუხარების გამომხატველი შეძახილი.

წყლით სავსე ვეღროებით. ზოგი იცინის, ხუმრობს, მამა ოფლს ღწეუ
რავს შუბლზე...

ვიღაცამ მაჯაში ჩაავლო ხელი, ბავშვი მაშინვე მიხვდა, დედა
იყო!

დიგუა გაუძალიანდა, არ უნდოდა, გაჰყოლოდა. ნაწყვეტ-ნაწყ-
ვეტი სიტყვები ესმის. „დასწყევლოს ღმერთმა...“, „რა შუაშია...“.
„უნდა შეგენახა...“.



იქნებ ეს სიტყვები დიგუას არც შეეხება, მაგრამ რატომძაც
იმედი მიეცა... იქნებ აპატიონ დანაშაული!

— აქაურობა ააფორიაქე და მერე გაიქეცი და დაიმალე, აა?
ნამდვილი ვაჟკაცები ასე არ იქცევიან, აბა შემომხედე! — დაკორ-
რილმა ხელმა თავი გადაუწია, დიგუამ მამის გალიმებული სახე დაი-
ნახა, ცასავით მოწმენდილი და ნათელი.

„იცოდე, ხელი არ ახლო!“ — მოაგონდა უცებ. რატომ არ და-
ვუჭერე? რა მინდოდა? — სინანულმა დასუსხა.

— მეტს აღარ ვიზამ! — აღმოხდა გულიდან და ცრემლებიც წასკ-
და... ყველამ კარგად გაიგო, რისი თქმაც უნდოდა პატარას.

ନାନୀରୁହି



მუდამ დაკრიალებული იყო ქიშვარდის კარ-მიდამო. ფართო, გაშლილ ეზოში მწვანე ბალახი ისე ბიბინებდა, გეგონებოდათ, ხალი-ჩა დაუფენიათო, მეზობლის ბავშვებს ძალიან უყვარდათ ამ ეზოში თამაში.

ერთხელ სკოლიდან შინ მიმავალმა ბავშვებმა ქიშვარდის ეზოში შეუხვიეს; წინ ქიშვარდის ერთადერთი ვაჟი კიბარი მიუძღვდათ. ბავშვებმა ჩანთები ტოტებგაშლილი მუხის ძირას დაყარეს და ბურთს წაავლეს ხელი, გაჩაღდა აფხაზების საყვარელი თამაშობა — ჯობბურთი. თამაშობლენენ ბავშვები და თან ყიუინით იკლებდნენ იქაურობას.

შამოაღამდათ პატარებს. ხან ერთი სახლიდან და ხან მეორედან ისმოდა მშობლების ძახილი.

- მოხვალ თუ არა დღეს შინ?
- შინ მოსვლის დროა, გაევეთილები სასწავლი გაქვს!
- გეყოთ თამაში, მორჩით, თავი ნუ მოგვაბეზრეთ!
- ქიშვარში მთელი დღის შრომით დაღლილი ქიშვარდი გამოჩნდა.
- აბა რაღა დროს თამაშია, შინ წადით, შვილები! — უთხრა ქიშვარდიმ ბავშვებს და მერე თავის ვაჟს მიუბრუნდა:
- შვილო კიბარ, სანამ მთლად დაღამდებოდეს, წადი და ჩვენი კუაყალა მოდენე, ღამე ტყეში არ დარჩეს, გესმის?! — უთხრა ბიჭის და თავად ტყისკენ გაეშურა...

ქიშვარდის სიტყვების ხმაურმა დაფარა. ბავშვებმა
მანამ ვერ იჩერეს გული თამაშით, სანამ კარგად არ დალამდა; გადაწყვეტილი
და დაღლილ-დაქანცულები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. კიბარმა
მეგობრები გააცილა და შინ რომ მობრუნდა, ამ დროს შეშით დატ-
ვირთული მამაც შემოვიდა ეზოში. ქიშვარდიმ შეშა იქვე ჩარდახევეშ
დაყარა, საქონელს დახედა და ფაცხაში შევიდა. დაღლილი ცეცხლის
პირას ჩამოვდა. კიბარის დედა სელიმხანი ცეცხლზე შემოდგმულ
ქვაბში ღომს ზელდა.

ქანცგაწყვეტილი და გაოფლილი კიბარი კი არ შემოვიდა, შე-
მოვარდა და იმ წუთშივე დედას საჭმელი მოსთხოვა. დედა აფუს-
ფუსდა, არიქა შვილი ჩქარა დავაპუროო.

გემრიელი ვახშმის მოლოდინში კიბარი ცეცხლს მიუჯდა. მამამ
ჰკითხა:

— შვილო კიბარ, თავლის კარი კარგად დაკეტე? — ქიშვარდი
დარწმუნებული იყო, ბიჭმა ალბათ ცხენი მოდენაო. კიბარს ხმა არ
გაუღია. იქვე ცეცხლის პირას იჯდა ქიშვარდის ძმისშვილი, პატარა
ხირბეი. ხირბეი ამ ოჯახში ცხოვრობდა და უკვე სკოლაში დადიოდა.
ხირბეიმ იცოდა, რომ კიბარს არც უფიქრია ცხენის მოსაყვანად წას-
ვლა და გაეცინა, მაგრამ შეეშინდა, კიბარი არ გავცეო და მაშინვე
ბირჩე აიფარა ხელი.

ქიშვარდის არ გამოპარვია ეს და გაბრაზებით ჰკითხა შვილს:

— როგორ, კუაკუალა არ მოგიდენია თუ?

ეწყინა ქიშვარდის, რომ შვილმა არაფრად ჩააგდო მისი თხოვნა.
მისი საყვარელი ცხენი, თავის დღეში რომ არ დარჩენილა გარეთ,
ამაღამ ვინ იცის; იქნებ მგლების კერძიც გამხდარიყო.

კიბარის მგელივით შიოდა და დედას ვახშამს აჩქარებდა, მაგრამ
ახლა შერცხვა, მოკუნტული იჯდა და არ იცოდა, როგორ ემართლე-
ბინა თავი.

კიბარი ხირბეიზე გაჯავრდა, მისი ბრალია ყველაფერი, მისმა
სიცილმა გამცაო, ბიჭის ჩუმად უჩქმიტა და ერთი-ორი მუჭლუგუნიც
უთავაზა. მაგრამ ამ ღროს ისევ მამის მკაცრი ხმა მოესმა:

— წადი ახლავე, სადაც გინდა იპოვე ცხენი და მოდენე!

კიბარს არ ახსოვდა, რომ მამა ოდესმე ასე გაბრაზებოდა და გვენებული გაუნდრევლად იჯდა. ამან მთლად გააცეცხლა მამა. მივიღა შვილთან, წამოაყენა, მხრებში ჩავლო ხელი და ეზოსკენ მიახედა.

— წადი და უცხენოდ შინ არ დაბრუნდე, იცოდე!

უბრძანა, მერე კი მიუჯდა მაგიდას და ცოტა უფრო დამშვიდებულმა ოქვა:

— ასე ეკუთვნის ამ ურჩს! რა ბავშვია, ვეღარ გამიგია: ცუდალ სწავლობს, მეორე წელია მეექვე კლასში ზის სამარცხვინოდ, შრომაშიც ზარმაცია, სამაგიეროდ ტყუილის ოსტატია. სთხოვ რაიმე გაცეოთოს და ყურსაც არ გააბარტყუნებს, რას ჰგავს ეს? მრცხვენია მეზობლების, რომ ასეთი შვილის მამა ვარ. თამაშსა და გართობაში კი ბადალი არა ჰყავს. მარტო თამაშით ხომ ვერ იცხოვრებს კაცი!

ქიშვარდიმ გული იჯერა ლაპარაკით და თანდათან დამშვიდდა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ დედა ყოველთვის ექომაგებოდა შვილს, მიუბრუნდა სელიმხანს და ისევ აღელვებულმა უთხრა:

— სულ შენი ბრალი კია ყველაფერი, შენი გაფუჭებულია კიბარი. შენ ხარ დამნაშავე, ასეთი ოინბაზი და ზარმაცი შვილი რომ გვეზრდება. მინის თოჯინასავით უფრთხილდები და ხომ ხედავ, რა ნაყოფიც გამოიღო ამან.

სელიმხანი შვილს გამოექომაგა:

— როგორ შემიძლია ერთადერთი შვილი ვაიძულო იმუშაოს და შრომით თავი დაიმახინჯოს? რა გავვიჭირდა ამის ფასი? რისა ეგშინია, განა ვერ მოესწრება სწავლას?! ჯერ ხომ ახალგაზრდაა!

ამან უფრო გააბრაზა ქიშვარდი.

— აი სწორედ ამან გიყო, რაც გიყო. ანგელოზიაო და სულ თავზე დაჰკანკალებ, გეშინია, შენმა პატარამ ხელი ან ფეხი არ იღრძოს მუშაობაში! განა ვერ ხედავ, ეს შენი ნებიერი რა უხეირო ბიჭი იზრდება?

კიბარი კარს უკან იდგა და ყურს უგდებდა მშობლების კამათს.

იმედი ჰქონდა, დედა ჩვეულებრივად გამომექომაგება და მამასი გული მოულბებაო. მშობლების გულის ასახვილებლად კიბარშიც ზაფხული მაღლა მორთო ტირილი. დარწმუნებული იყო, აი ახლა გაიღება კარი, დედააჩემი გამოვა და შინ დამაბრუნებსო. ტყუილი იმედი ჰქონდა, ღეღდა არ გამოსულა და არ დაუმშვიდებია.

მხოლოდ პატარა ხირბეის შეეცოდა კიბარი. იფიქრა, მარტოდ-მარტო შეეშინდება დამეში ცხენის მოსაძებნად წასვლაო. ხირბეი ფრთხილად გამოძვრა ფაცხიდან და კიბარს დაედევნა.

— კიბარ, კიბარ, დამიცადე. ერთად წავიდეთ! — მიაძახა ხირბეიმ ძმას, ჭიშკარში რომ გადიოდა.

* * *

კიბარმა ჭიშკართან ფეხი შეანელა, უკან იხედებოდა, ფაცხას მისჩერებოდა, ფიქრობდა, დედააჩემი დამედევნება და სავახშმოდ უკან დამაბრუნებსო.

— უხ, ხირბეი, ხელში რომ ჩამივარდებოდე ამ სიბნელეში, გიჩვენებდი სეირს. შენ რომ არ გაგცინებოდა, მამა ვერაფერს მიხვდებოდა და არც ცხენს მოიკითხავდა, — ბუტბუტებდა გაბრაზებული ბიჭი.

ამასობაში ხირბეიც მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— ნუ გეშინია, კიბარ, მეც წამოგყვები, ერთად მოვძებნოთ ცხენი. წავიდეთ ჩქარა, რალის ვუყურებთ.

კიბარს გაუხარდა ძმის დანახვა, წელანდელი თავისი მუქარა არც გახსენებია. ბიჭები მხიარული მასლაათით გაეშურნენ ცხენის საძებრად. აღრიანი შემოდგომა იდგა. ამინდს კი არა უშავდა რა, მაგრამ ისეთი ბნელი ღამე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი.

ბიჭებმა ხელად მოიარეს და გადაჩხრიკეს მასაკაიას, მსურატის, ჩამანიკისა და სხვა ველები, აქ ძოვდა ხოლმე ბალახს კუაკუალა, მაგრამ ცხენი ვერსად იპოვეს.

— ახლა სადღა უნდა ვეძებოთ? — დაფიქრდნენ ბიჭები.

— ნეტა სად გადაიკარგა, — წაიბურტყუნა კიბარმა, — მეტი

არა მინდა რა, ორმოში ჩალპებოდეს! იქნება განსვენებული ჩამაგუან
ნაკვეთზე ვიპოვოთ, საფლავთან?!

კიბარს შიშით კანი აებურძგა და აცახცახდა, მაგრამ რა უნდა
ეჭნა, ცხენი ყველგან უნდა ეძებნა. ბიჭებს ძალიან ეშინოდათ ამ ღა-
მეში ცხენის საძებრად ხეტიალი და ფეხები უკან რჩებოდათ, მაგრამ
სხვა რა გზა ჰქონდათ.

შემზარავი სიბნელე იყო. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ღა-
მის მყუდროებას მხოლოდ ბიჭების ფეხის ხმა არღვევდა.

მამისა ეშინოდა, თორემ აბა, კიბარს სახლიდან ვინ გამოადგმე-
ვინებდა ფეხს ასეთ ღამეში. უცხენოდ შინ ვერ დაბრუნდებოლა. კი-
ბარს უნებლიერ გაახსენდა ძველი ზღაპრები მოჩვენებებზე. ტყის
სულებზე, ალებსა და კუდიან ქალებზე და შიშმა მთლად აიტანა.

პატარა ხირბეისთვის კი არავის არასოდეს არ უამბნია საშინელი
ზღაპრები და ამიტომ შიში არაფრის ჰქონდა, მშვიდად მიჰყვებოდა
კიბარს.

ბიჭებმა ბუჩქნარს შემოუარეს და ჩამაგუას ნაკვეთზე გავიდნენ.
კიბარი შეჩერდა და ხირბეიც შეაჩერა.

— სუ... იყუჩე... შეხედე, აი იქ, საფლავებია... გესმის? თითქოს
ვიღაც უსტვენს!

— არა, არავითარი სტვენა არ მესმის! — მიუგო ხირბეიმ, კიბა-
რი ცოტათი გამხნევდა.

ბიჭმა ირგვლივ მიმოიხედა. კუაკუალა თეთრი იყო და თუ და-
აკვირდებოდი. ბნელშიაც კარგად დაინახავდი. კიბარმა მდინარის
პირას, სწორედ იმ ადგილას, ჩამაგუას მეუღლე რომ წყალს იღებდა
ხოლმე, შორილან რაღაც თეთრი შენიშნა.

— აგერ, ხედავ, აგერ არ არის ის ტურების კერძი! — წამოიძა-
ხა კიბარმა. ბიჭმა გაარჩია, რომ ის თეთრი რაღაც ცხენი იყო. მაგრამ
უცებ გაახსენდა ვიღაცის ნაამბობი, წინათ ამ ადგილას მდინარიდან
ამოსული ალები უნახავთო. კიბარს შიშისგან თმა ყალყზე დაუდგა.
კანკალებდა და ბიჭიც ვერ წაედგა წინ. უცებ თავში აზრად მოუ-
ვიდა:

— რა იქნება, აქედან რომ გაეძახოთ ცხენს?

კიბარმა რამდენჯერმე ხმამაღლა დაიძახა:

— კუაკუალა! კუაკუალა! კუაკუალა!

მაგრამ ცხენი არ გამოეპასუხა, თავიც კი არ ასწია, არც კი შეირჩა.

— რა ვიღონოთ?

კიბარმა გაბედა და ცხენისაკენ წავიდა, ხირბეიც მიჰყვა. კიბარი შიშით ცახცახებდა, ეგონა, აგერ-აგერ ალი ხელს მტაცებსო. სიმინდის ღეროებს ეჭიდებოდა და ფრთხილად მიიწევდა წინ. თან მალიმალ ხირბეის მოუხედავდა ხოლმე, მშვიდად რომ მოსდევდა უკან.

ცხენს რომ მიუახლოვდა, კიბარი შედგა, მიწიდან სიმინდის ღერო ამოაძრო და ესროლა. მაგრამ ნასროლმა ცხენამდე ვერ მიაღწია და ხმაურით დაეცა მის ახლოს. კუაკუალამ თავი ასწია, დაიფრუტუნა და ისევ განაგრძო ბალახის ძოვა.

„უთრო ახლოს უნდა მივიდე!“ — გაიფიქრა კიბარმა და რამდენიმე ნაბიჭი კვლავ წადგა წინ. კიდევ ამოაძრო სიმინდის ღერო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოისროლა. მაგრამ, ამჯერად სიმინდის ღერომ ცხენს თავზე გადაუქროლა და მდინარეში ჩავარდა. მის ჩავარდნაზე უცნაური გამყინავი კივილი გაისმა.

ვიღაცა ამოვიდა წყლიდან და ბიჭებისაკენ გამოემართა.

— ვა... ა...ა ა! ვა... ა...! ალ... ლი..., ი! — დაიყვირა კიბარმა და შიშისაგან მიწაზე ჩაჯდა, თან სიმინდის ღეროებს ებლაუჭებოდა. კიბარის ყვირილზე ხირბეიც შეშინდა, მაგრამ ამ დროს დაინახა ყანჩა, კივილით რომ გადაევლო ბიჭებს თავს.

— ერთი შენც, ნეტა საიდან მოგელანდა ალი! ყანჩა აფრინდა წყლიდან; ისიც დააფრთხე და მეც შემაშინე, — დაუცაცხანა ხირბეიმ კიბარს.

კიბარმა ხელი ჩაჰკიდა ძმას და უშიშრად გაემართა ცხენისკენ. ორივენი მოასხდნენ ცხენს და შინისაკენ გააჭენეს.

* * *


შინ ბიჭებმა ცხენი თავლაში შეიყვანეს და დასაძინებლად დაწვნენ. მაგრამ კიბარს დიღხანს არ მოეკიდა ძილი, თუმცა შიშმა უკვე გაუარა. ახლა კიბარს სინდისის ქენჯნა უტეხდა ძილს. სწუხდა, რომ თავის დროზე არ გაუგონა მამას, ისიც გააბრაზა და თვითონაც შიში ჭამა. ხირბეი რომ არ წაჰყოლოდა, რა ეშველებოდა?!

„მამა მართალია... ყველაფერში მართალია. ძალიან გაუგონარი, ზარმაცი და ჭიუტი ვარ, დედის ნებიერი და ამიტომ არაფრის გაკუთხდის უნარი არა მაქვს. ასე არ შეიძლება, ამიერიდან უნდა გამოვსწორდე. მაშ, როგორ არ უნდა მრცხვენოდეს, რომ ჩემზე პატარა ხირბეი მჯობნის!“

დალლილ ბიჭს კარდალაში გაციებული ლომი აღარც გახსენებია. მაინც კმაყოფილი იყო ამ საღამოთი. გულში თავისთვის რაღაც მტკიცედ გადაწყვიტა და ბოლოს, ფიქრებით მოქანცულს, ძილმა წართვა თავი. პირზე ლიმილი დასთამაშებდა. ძილში იგრძნო, რომ ვიღაცამ მზრუნველობით წაახურა საბანი.

ԾԱՌԱՎՈՂՈ

ԵՎՀԵՄԵՐԻ



სკოლიდან არც ისე მოშორებით ვცხოვრობდით, მაგრამ უბე-
 ღურება ის იყო, ჩვენს სახლსა და სკოლას ერთი პატარა მდინარე ჩა-
 მოუდიოდა შუაში. ზაფხულობით კი წყალი ძალიან იყლებდა, ად-
 გილ-ადგილ შრებოდა კიდეც და მდინარეზე გადასვლა სულ იოლად
 შეიძლებოდა. მაგრამ მაინც მთის მდინარე იყო და ვერ ენდობოდა
 ჯაცი.

გაავდარდებოდა თუ არა, მდინარე ადიდებოდა, ნაპირზე გად-
 მოდიოდა და გაავებული მოაგორებდა აქაფებულ ტალღებს.

დეიდა ცისო სკოლასთან ცხოვრობდა. მდინარე რომ ადიდე-
 ბოდა ხოლმე, ღამეს დეიდა ცისოსთან ვათევდით, რომ რაიმე უბე-
 ღურება არ შეგვმოხვეოდა, ასე ვყავდით დედას გაფრთხილებული.
 ჰოდა, შინ ჩვენი დარდი არა ჰქონდათ ხოლმე.

სამნი ვიყავით — მე, ჩემი უმცროსი და სელმა და ჩვენი მეზობ-
 ლის ბიჭი მკანი. ყველაზე უფროსი მე გახლდით.

შემოდგომა იდგა: ღრუბლიანი დღე იყო. დილიდანვე ცრიდა.
 სკოლაში წასვლის წინ დედამ ისევ გაგვაფრთხილა, თუ მდინარე
 ადიდდეს, დეიდასთან დარჩითო.

მთელი გზა გადაულებლად წვიმდა. სკოლის ეზოში რომ შევე-
 დით, მაშინ სულ კოკისპირულად დაუშვა. მაგრამ წვიმამ სწრაფად
 გადაიღო, ღრუბელიც გაიფანტა, ცამ წარბი გახსნა და განათდა.

საღამოს, შინ რომ ვბრუნდებოდით, მე და მკანი ხელში ავიყვან-

დით ხოლმე ჩემს დაიკოს და ფრთხილად გადავიდოდით ბოჭის შენარჩუნავით მაგრამ ამჯერად სახტად დავრჩით. ბოგირის სახსენებელიც აღარ იყო — მდინარეს წაელო.

მოსალამოვდა, მზემ იყრიფა უკანასკნელი სხივები. ჩვენ კი რატომლაც გავმამაცდით და ფონის მოძებნა გადავწყვიტეთ. ჩემზე მეტად მკანიმ გამოიდოთ თავი, აქაოდა ფონის მოძებნა კარგად ვიციო.

მდინარის ნაპირს გავუყევით, ფონის ქებნაში საქმაოდ დავშორდით სკოლას. მარტო რომ ვყოფილიყავი, რა შემაჩირებდა, აუცილებლად გადავლახავდი მდინარეს, მაგრამ ახლა რას ვიზამდი, სელმა და მკანი მახლონენ, მეშინოდა, არაფერი დაშავებოდათ.

მდინარე თანდათან მატულობდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, იმ დღეს თურმე მთებში დიდი წვიმა ყოფილიყო. ვიფიქრეთ, უკან დაბრუნდეთ, ლამე დეიდასთან გავათიოთო, მაგრამ უკვე ბნელოდა და გზა ვეღარ გავიგნეთ.

სელმა დაიღალა, არც იყო გასაკვირი, აბა რა დაემართებოდა პატარა გოგოს, შეეშინდა საწყალს და ლრიალი მორთო. მკანი, რაც იმ უნდა იყოს, ბიჭი იყო და არ ატირებულა, თუმცა მასაც უბრწყინვადა თვალებში ცრემლი. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემს გულს ბაგა-ბუგი გაპქონდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავცვივდით, — აღარც შინ წასვლა შეევეძლო და აღარც დეიდასთან დაბრუნება. სწორედ ამაზე იტყვიან: არც იქით და არც აქეთო.

მდინარე ბორგავდა, მძვინვარებდა, შიშს გვგვრიდა. ავდექით და ამ საშინელ ხმაურს გავერიდეთ, ტყეს შევაფარეთ თავი. ბავშვები ხშირად დავდიოდით ხოლმე ამ ტყეში, მაგრამ ბნელ ღამეში მეტის-მეტად ულრანი და გაუვალი მოგვეჩვენა. მშიშარა არა ვარ, მაგრამ მაშინ ისე შემეშინდა, კინალამ დავიყვირე, იქნებ ვინმე მოგვეშველოს-მეთქი. მერე კი შემრცხვა ჩემი თავისა, თანაც არ მინდოდა, უფრო მეტად შემეშინებინა ჩემი პატარა თანამგზავრები. წუთით მოვათვალიერე გარემო და გზა განვაგრძეთ. თუმცა თვითონ არ ვიცოდი, სად მივდიოდით.

უეცრად ჩვენ წინ რაღაცამ გაიელვა და ჩაქრა. ასე ინთებოდა

და ქრებოდა ცეცხლის ნაპერწყალივით. სელმამ შიშისაგან ღრიალი მორთო. საბოლოოდ დავრწმუნდი, ჩვენი საქმე ცუდად იყო. უცალდ დაბალი ტოტებგაშლილი რცხილა დავინახე. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, გადავწყვიტეთ, რცხილაზე გაგვეთია ღამე.

სელმა ვერა და ვერ აცოცდა ხის ქვედა ტოტზე. მკანი მხრებზე დამადგა და როკზე აძვრა. მერე ორთავემ დიდი ვაი-ვაგლახით ავათ-რიეთ ხეზე სელმა. ახლა მე გამომიწოდა მკანიმ ხელი და სამივენი ხეზე აღმოვჩნდით. ძნელი წარმოსადგენია, რაც იმ საშინელ ღამეს განვიცადე. ჩვენი რცხილის ქვეშ ტურები დაძრწოდნენ, სიბნელეში ცეცხლის ნაპერწყლებივით უელავდათ ყვითელი თვალები. მამაჟმის ნათქვამი გამახსენდა — მხეცები შორიდან გრძნობენ აღამიანის სუნ-სო. ნამდვილად სუნი იქრეს-მეთქი, — ვფიქრობდი გულგახეთქილი.

ხის ქვეშ ტურების ხროვა დასუნსულებდა, გაავებულები აკაწ-კაწებდნენ კბილებს. შემდეგ ცოტა ხნით იფანტებოდნენ ტყეში, მაგრამ ისევ მალე ბრუნდებოდნენ უკან, ეტყობოდათ, გემრიელი ლუკ-მის დაკარგვა ენანებოდათ.

ისევ გადაუღებლად წვიმდა. სელმა რომ არ გათოშილიყო, პი-ჭავი გავიხადე და ჩავაცვი. მერე ჩემი კეპი დავახურე, ისე მოუხდა, იფიქრებდი, ბიჭიაო. „როგორ მოვიქცე, რა მეშველება, ხიდან რომ ჩამოვარდეს“, — გავიფიქრე და გამოსავალიც მოვნახე: ჩემი ქამარი გადავაბი მკანის ქამარს, სელმა მაგრად მივაკარი ტოტზე და, უფრო იმედიანად რომ ვყოფილიყავით, აქეთ-იქით მე და მკანი მოეუს-ხედით და ხელები მოვხვიეთ. სელმა დამშვიდდა, გაყუჩდა და მალე მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

— ვინ ფშვინავს? — ვიკითხე მე.

— სელმამ დაიძინა, — მიპასუხა მკანიმ; — შეიძლება, სულ ცოტა ხანს მეც დავიძინო?

— არა, არ შეიძლება, — მივუგე მკანის და მაშინვე გავაღვიძე სელმაც.

მეშინოდა სამივეს არ დაგვძინებოდა. ვაი ჩვენი ბრალი, ხიდან რომ ჩამოვვარდნილიყავით რომელიმე, პირდაპირ პირდალებულ



მხეცებს ჩავუვარდებოდით ხახაში. მოდი, ბავშვებს ძილს დავუჭირდათ
თხობ-მეთქი ვიფიქრე და შევაშინე:

— დაგვეძინება თუ არა, მგლები ამოვლენ ხეზე და ძირს ჩაგ-
ვაგდებენ. მგლები ღამ-ღამობით დაძრწიან ტყეში და უეჭველად მიხ-
ვდებიან, რომ გვძინავს.

— მერე მგლებს შეუძლიათ ხეზე ასვლა? — დაეჭვდა, სელმა.

— რა თქმა უნდა, შეუძლიათ. რამ მოკლა ჯემალი? ხეზე დაიძი-
ნა, მგლებმა იყნოსეს და მაშინვე ძირს ჩამოაგდეს. არ იცოდი ეს ამ-
ბავი?

ჩემს ნათქვამში ძალიან ცოტა სიმართლე ერია; მაგრამ მკანიმაც
კი დაიჭერა და დამემოწმა კიდევ.

— მაშინ ალარ დავიძინებ, — თქვა შეშინებულმა სელმამ.

რაღა არ მოვჩმახე იმ ღამით. მე თვითონ მიყვირდა, საიდან ვი-
გონებდი იმდენ ამბავს. სელმა და მკანი სუნთქვაშეკრულნი მისმენ-
დნენ. მერე მკანიმაც დაიწყო მოყოლა, მაგრამ მალე გაჩუმდა, ეტყო-
ბა, ვეღარაფერი მოიგონა.

ღამე კი ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა, ასე მეგონა, ალარ გათენ-
დებოდა. ღროდადრო ვსტვენდი კიდევ, რომ არ დაგვეძინებოდა. თი-
თქმის ალარაფერი დაგვრჩა მე და მკანის მოსაყოლი, შუალამე კი
ვადასულიც არ იყო. უცებ გამახსენდა ერთი თამაში — „ინა გუაპა“.
მოდი, ვითამაშოთ-მეთქი ვთხოვე ბავშვებს, ვიფიქრე, გვერთობით
კიდევ და დროც მალე გავა-მეთქი. ეს თამაში ასეთი იყო: მუხლზე
უნდა დაგედო ორი თითი, შემდეგ ერთ-ერთი მოთამაშე იწყებდა
თვლას. იმ მოთამაშეს, ვის თითზედაც დამთავრდებოდა უკანასკნელი
სიტყვა, თვალდახუჭულს უნდა დაეჭირა თამაშის სხვა მონაწილენი.
მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში კუკუმალობას თამაში ხელს არ გვაძ-
ლევდა. ამიტომ თამაშის ბოლო ნაწილი შევცვალე. წაგებულს ბულ-
ბულივით უნდა დაესტვინა. ბელურასავით ეჭიკჭიკა ან მამალივით
მაინც დაეყივლა. თამაშმა გამოგვაცოცხლა და ძილი გაგვითვრთხო.

ეს თამაშიც მალე მოგვეძირდა, მაგრამ როგორ ნელაც არ უნდა
გასულიყო დრო, ღამემ ბოლოს და ბოლოს გზა მისცა ნანატრ დი-


ლას. ოდნავ ინათა თუ არა, ხიდან ჩამოვედით და გზას დავვადექოთ
მდინარესთან რომ მივედით, მკანიმ დაიყვირა! „შეხედეთ, უ-
ხედეთ!“ მდინარის გადაღმა ხალხი მოჩანდა. ისინი ბევრნი იყვნენ,
და რაც მთავარია, მათ შორის დედა ვიცანით. სელმა ისე აღელდა,
სიხარულისაგან ტირილიც კი დაიწყო.

დეიდასთან რომ აღარ მივედით ღამის გასათევად, თურმე დე-
დას შეატყობინა. დედამ მეზობლები გააღვიძა და მალე მთელი სო-
ფელი წამოსულა ჩვენს საძებრად. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მე-
მომხვდა, როგორც უფროსს.

მეორე დღეს ყველა ჩვენს ამბავს მეკითხებოდა. პიონერხელმ-
ძღვანელი კუნტაც კი მოვიდა ამბის გასაგებად. ის იყო თავი უნდა
მომეწონებინა — ხომ ხედავთ, როგორი მოსაზრებული და მამაცი
ვარ-მეტქი, რომ დედაჩემის დარიგება მომაგონდა: „ტრაბახი უგუ-
ნურობაა“.

Ե. ԲՅՈՒՋԵ

ԹԱՐԱՎԱՐ



I

კამეჩები მშვიდად იწვნენ ჭაობში და იცოხნიდნენ, ზმორებ-ზმორებით ხან ერთ გვერდზე გადაწვებოდნენ, ხან მეორეზე, ხან კი ისე ღრმად ჩაეშვებოდნენ თბილ ლაფში, რომ ყურები, ღრუნები და უკან გადაგრეხილი რქებილა მოუჩანდათ. აბეზარი ბუზანკალები ბზუილით დასტრიალებდნენ წუმპეში ჩაწოლილ კამეჩებს და დასაჭ-დომს დაეძებდნენ. მაშინ გაბეზრებული კამეჩები თავს გაიქნევდნენ ხოლმე და იყო რქების ყრუ ჩახაჩუხი. რა კარგი იყო ზაფხული! რა დიდებული სამყოფელი იყო კამეჩებისთვის ამ თავარა სიცხეში გრი-ლი შლამითა და წებოსებური მოყვითალო ტალახით ჩაგუბებულ-ჩაჭაობებული მდინარის მდოვრე.

ნებივრად გაწოლილ კამეჩის ჭერ დედა კუ შეაცოცდებოდა ზურ-გზე, კარგად მოიკალათებდა, შემდეგ პატარებსაც უხმობდა თავის-თან. რა ჭობია აქ ძილსა და მოსვენებას? ნამდვილი განცხრომაა! ქვემოდან კამეჩი გათბობს, ზემოდან მზე გაცხუნებს!

ფურკამეჩი ბაჩას ერთი შეხედვითაც გამოარჩევ, სხვებზე გაცი-ლებით დიდია, თავკისერი და გულმკერდი ჩამრგვალებულ-ჩასუქე-ბული აქვს, ვეება მუცელი და ზორბა ფეხები ნამდვილი ფალავნის შესახედაობას აძლევს. ქეჩის გაყოლებით წაბლისფერი ბალანი უბიბინებს, ქვემოთ და ქვემოთ კი თხელდება, რბილდება და ნაზდე-ბა. ახლა მისი სამფად ჩაკეცილი ღაბაბი რად ღირს! რქებს სულ ნუ-ლარ იკითხავთ! შავი, ლაპლაპა, ღონიერი, ძირში თითქოს საგანგე-

ბოდ გაპრიალებული, ზევით კი ხორქლიანი, შნოიანად გადაგრეჩებულია ლი... ერთ კამეჩად შარტო ეს რქები ღირს.

უღელში შეაბამენ, სამოც ფუთს დაუდებენ, ის კი ისე მსუბუქად გასწევს, თითქოს აქ არაფერიაო, მზის ჩასვლამდე ფეხი არ შეეშლება და გვიან ღამით ისევ დინჯი ნაბიჯებით მობრუნდება ფერმაში.

და აი, აქ, მდოვრეში, დასვენების დროსაც, ჭოგის ამ მშვენებას თავი ამაყად უჭირავს, მაძლარი და კმაყოფილი ფურქამეჩი არც კუს-თან „გათამაშებას“ თავილობს. ისე მაღიანად იცოხნის, პირიდან სულ ქაფი გადმოსდის, ყურებს აბარტყუნებს, ხოლო დიდრონი შავი თვალები ნეტარებისაგან მიულულავს. ხანდახან მაღლა ამოიწევა. ტალახიდან კუდს ამოიღებს, ლაზათიანად მოიქნევს და გავაზე მოკალათებულ კუს ტლაპოში თავდაყირა ტყაპანს მოადენინებს. მაგრამ წყლის აბგრიან მკვიდრს ავიწყდება, ვისთან აქვს საქმე. ეტყობა, მხოლოდ შორიდან იცნობს თავმომწონე ბაჩას. გაიხედავ და დედაბუდიანად ისევ უკარება ფურქამეჩის ზურგზეა თბილად მოკალათებული. ბაჩა ერთს კიდევ გამოხედავს, წამოიწევა და მუხის ფესვით დაჭვარკნილ, ტალახში ამოზინთულ კუდს ისე ჩასცებს და ჩაუხათქუნებს თავში, რომ დარეტიანებულს სულ თავდაყირა გადაუძახებს ლაფში. ასე თავდება უწყინრად დაწყებული თამაში. ამის შემდეგ კუ ზემოთ პირს ალარ იზამს, არის მიყუჟული ფსკერზე და ტკივილებს იშუშებს.

საძოვრები სიმინდის ყანების გვერდით იყო გადაშლილი. შუა მინდორზე ტანაყრილი მსხლის ხე იდგა, მწიფე ნაყოფით დახუნდლული. ამ ხის გამო მთელს უბანს და მოსაზღვრე ულრან ტყესაც „ქოჩორა მსხალს“ ეძახდნენ.

სანამ კამეჩები ტბორში ნებივრობდნენ, მწყემსი ბიჭები მსხლის ძირის კენჭობანას თამაშობდნენ. ესენი სოფლის რვაწლიანი სკოლის პიონერები იყვნენ. მათ გადაეწყვიტათ, ზაფხულის თავისუფალ თვეებში კოლმეურნეობის ფერმას კამეჩების მომწყემსვაში დახმარებოდნენ.

— ცხრა!

— თხუთმეტი!

— ოცდახუთი!

მოისმოდა მხიარული შეძახილი. კინკლაობდნენ, ჩხუბობდნენ, დაობდნენ, ყველას მოგება უნდოდა.

ამ ურიაშულს დროდადრო ხიდან ჩამოვარდნილი მწიფე მსხალი შეწყვეტდა. ქოჩორა ხე თითქოს განზრახ, ყველაზე გულფიცხს ჩას-ცხებდა თავში მწიფე ნაყოფს და მოჩხუბრებს მყისვე გააზავებდა.

ბიჭები ისე იყვნენ გართული კენჭობანას თამაშით, დროზე ვერ შენიშნეს, რომ მზე გადახრილიყო, კამეჩები ტბორიდან ამოსულიყვნენ და მწვანე ბალას მაღიანად შეექცეოდნენ. მშიერი იყო პირუტყვი. ხუმრობა ხომ არაა, მთელი დღე ლაფში უჭმელად წოლა! რა გინდ განცხრომით არ უნდა დაისვენო, კუჭი კუჭია...

ფურქამეჩი ბაჩა ჭოგს ჩამოშორებოდა და ყანის ნაპირას ძოვდა განმარტოებით.

ბალახით პირგამოვსებული თავს წარამარა მაღლა სწევდა და ღობის ზემოდან მსუნავად შეავლებდა თვალს ჩატაროებული სიმინდის ყანას. შემდეგ უკან მოიხედავდა, მწყემსი ხომ არ მითვალვალებსო, და მშვიდად განაგრძობდა ძოვას. როცა დარწმუნდა, ახლოს მოცილე არავინ ჰყავდა, თავისი დაჯვარებილი რქა ისე ღონივრად ამოჰკრა ღობეს. წნელი და მესერი სულ ტკაცუნითა და ბზრიალ-ტრიალით აფრინდა ჰაერში.

ბაჩა ისე უდარდელად შებაჩუნდა სიმინდის ყანაში, თითქოს თავისი ნათეს-ნათოხნი და ნამარგლი ყოფილიყოს და ახლა წვითა და დაგვით მოწეული კირნახულის ასაღებად მოსულიყოს. შეუდრეკელი და საკუთარ ძალაში დარწმუნებული ბაჩა გრიგალივით დატრიალდა ყანაში და ერთი სვრელი ჭყინტი სიმინდი თვალისდახამხა-მებაში ჩადგვლიფა.

ყიქინით წამოცვივდნენ პიონერები და კამეჩებს გზა მოუჭრეს.

ნახირს დაედო თავი და პირის ჩასატკბარუნებლად ყანისკენ ბა-ჩას კვალს გაჰყოლოდა.

მარტინ გულაძე
საქართველოს კულტურული მეცნიერებების დამსახურის მინისტრი

ახლა ბაჩა უნდა გამოედენათ ყანიდან, მაგრამ ეს არც ისე დაბრუნებული საქმე იყო. სახრევები წილდა ჰაერში, მაგრამ ბაჩა, თითქოს ბუზბუზი აფრენიდეს, ჯიქურ მიიწევდა წინ და ყანაში ღრმად შედიოდა. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადაიქნევდა თავს და ძირიანად მოთხოვილ, შუამდე ჩაღეპილ ღეროს ბიჭებს შემოუქნევდა. ბევრი სახრე მოხვდა და ბაჩას იმ დღეს, მას აინუნშიც არ ჩაუგდია და რძიან ტაროებს დინგად და მადიანად ახრამუნებდა.

სიმინდი რომელ კამებს არ უყვარს, განსაკუთრებით ჭყინტი, რძიანი ტარო, თავისი დაშაქრული ღეროებით, მაგრამ ბაჩასავით ალბათ არც ერთს.

თუ ნებით მისცემდნენ, ხომ კარგი, თუ არადა, თვითონვე იშოვიდა სასუსნავს. ახლოს რომ ვერ მოიხელოთ და, მთელ ღამეს ივლიდა, და ბოლოს სადმე მაინც მიაგნებდა ყანას, ღობეს ჩალეჭავდა. შევიღოდა შიგ და იმდენს ჭამდა, მუცელს გადმოიბრუნებდა.

ვის შეეძლო წინ გადასდგომოდა ბაჩას? გამოცდილი მწყემსები თუ დაიმორჩილებდნენ, თორემ ამ ჩიორა ბიჭებს ბუზადაც არ აგდებდა.

იმ დღესაც, კარგად გამოძლა, მოიქნია რქები, ახლა სხვა ადგილას ჩაამტკრია ღობე და კმაყოფილი ფერმისაკენ გაემართა. მაშ არა და აღრე ჩალეჭილ ღობეს დაუწყებდა ძებნას. მწყემსებს ორ ადგილზე შეექნათ ღობე შესაკეთებელი.

— თამაში მანამ შეიძლება, სანამ ბაჩა წევს და იცოხნის! — თქვა გულდაწყვეტით როზანმა, — ცალი თვალი მაშინაც მისკენ უნდა გეჭიროს. თუ ნაპირზე ამოვიდა, მორჩა, კუდში უნდა გამოება, თორემ მაშინვე ყანაში შერგავს თავს.

საათბეეიმ კონა წნელი მოიტანა, ხვნეშით დაყარა ღობესთან და იმახუჭუჭა შავგვრემან ბიჭს მიუბრუნდა:

— ეჲ, მიშიკო, მიშიკო, სულ გაფუჭდა შენი ბაჩა! ღობეების ლეჭვა და ყანების გაპარტახება წელობად გაიხადა.

— დამაშავე მე ვარ, ვერ მოვასწარი ნამარგლი სიმინდით გამეძლო, არ მეცალა, და ბაჩამ თვითონ უშველა თავს, — მიუგო მიშიკომ.



— აი, ჩემი გაბანი, დაელოცოს ქედი! უწყინარი, მშვიდი კამე აკავება
ჩია, ღია კარებშიც არ შევა სამარცხოზე, ღობის გატეხვა ჩას მიქვის,
ფიქრადაც არ მოუვა.

— რაც არ უნდა აქო, ჩემი ბილგა მაინც ჭობს შენს ჩანჩურა გა-
ბანს! — შესძახა საათბეიმ.

— ჩემი უკეთესია...

— არა, ჩემი...

შეიქნა ერთი ურიამული; ყველა თავის კამეჩის აქებდა.

— ბაჩამ პირველი ადგილი დაიკავა... ღობების ჩამტვრევასა
და ყანების „დატბორვაში“... ჭილდოდ სახრე ეკუთხნის რქებს შუა;
ეეი! აბა, მოართვით ჭილდო! — წამოიყვირა მუშნიმ და მაგრად და-
უსტვინა.

მიშიკო გულდამდუღრული უსმენდა ამ აყალმაყალს, მაგრამ
რა ექნა, რასაც ბაჩაზე ამბობდნენ, სრული სიმართლე იყო. გაუტყდა
სახელი მის საყვარელ ფურქამეჩის.

პირუტყვს ადამიანი უყვარს, ამ სიყვარულს სიტყვებით ვერ გა-
მოხატავს, მაგრამ საქციელით ხომ ზოგჯერ მეტის თქმა შეიძლება...

საქმარისი იყო მიშიკოს ხმამალლა დაეძახა „ბაჩა!“, ფურქამეჩი
მაშინვე ყურებს დააბარტყუნებდა, თავს მაღლა ასწევდა და რბი-
ლად, ძალზე რბილად მიუგებდა: — ო-ა-ა-ყ!

უნდა ჩაგეხედა მაშინ ბაჩას ბეღნიერებით სავსე თვალებში. პი-
რუტყვი წუთით ფშვინვასაც კი შეწყვეტდა, რომ უშეცდომოდ გა-
ერკვია, საიდან ეძახდა პატარა მწყემსი და მაშინვე უზარმაზარი ტა-
ნის მძიმე, მაგრამ მოხდენილი ზოზინით მისკენ წაბაჩუნდებოდა.

მიშიკო კარგად უვლიდა საყვარელ ბაჩას. სხვები თუ მარტო ბა-
ლახს აძოვებდნენ, ის ყოველდღე გამოხშირულ სიმინდს გორასავით
დაუხვავებდა, ხანდახან კი გაუთოხნავად მიტოვებულ სასილოსე ყა-
ნაში შეუშვებდა და გულს კარგად მოაფხანინებდა. რქაზე ბაწარ-
შებმულ კამეჩის უკან რომ გამოიყვანდა, ღობეს ისე კოხტად შეაკე-
თებდა, კაცი ვერაფერს შეამჩნევდა; კამეჩის კი არა, თითქოს ჩიტსაც
არ გადაეფრინოს ზედ. იქნებ ამიტომაც შეეჩვია ბაჩა ყანაში შეპარ-

ვას! დანაშაულში თვითონ მიშიკოს ედო წილი და მარტო ბაჩას უნდა დადებოდა ბრალი!

პატარა მწყემსის გადამეტებული ერთგულება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთმა კოლმეურნემ შეისწრო ბიჭი ეშმაკობაში და და-უცაცხანა:

— შენ, ჰეი, ბალო, კამეჩის ნუ აფუჭებ მანდ! ყანაში შეპარვას დაეჩვევა, ღობის გატეხვას ისწავლის, დასაკლავი გახდება.

ენამ უყივლა იმ გულთმისანს. ასეც მოხდა, საქციელი წაუხდა ბაჩას, გაწუწყდა, გათავხედდა. რით გათავდებოდა ყველაფერი ეს? ნუთუ ამის გამო დაკლავდნენ ან გაყიდდნენ ფერმის მშვენებას?

მიშიკოს ამის გაფიქრებაზეც კი თმა ყალყზე დაუდგებოდა ხოლმე.

დღესაც, ღობე რომ შეაკეთა, მაშინვე გაშორდა ამხანაგებს: — არ გამამხილოთო, შეეჯედრა ბიჭებს და შეწუხებული ხმით თავის უკუღმართ ფურქამეჩის უხმო:

— ბაჩა, ბაჩაა!

— ო-ა-ა-ყ, ო-ა-ა-ყ! — ალალმართალივით წამოსწია თავი პი-რუტყვმა და პატარა მწყემსისკენ მინდობილი მძიმე ნაბიჯით ისე გა-ეშურა, ფართხუნა ყურებიც კი მისკენ ჰქონდა მიშვერილი.

პირუტყვზე განაწყენებულმა მიშიკომ სახრე მოიმარჯვა, რომ ღობის გატეხისთვის სამაგიერო მიეზოლ. ბაჩა სახრეს ვერ ამჩნევდა და რამდენადაც უახლოვდებოდა ბიჭუნას, იმდენად უფრო ხმამაღლა ყოყინებდა?

— ო-ა-ა-ყ, ო-ა-ა-ყ!

მიშიკოს შემართული სახრე ხელში შეაცივდა. მას ხომ ბაჩას-თვის არასოდეს შემოეკრა. კამეჩი შეჲყურებდა ერთგული და მორ-ჩილი თვალებით და ბიჭუნამ მის თვალებში საკუთარი ორეული და-იჭირა.

კამეჩი მივიდა, ჯერ დაყნოსა განუყრელი მეგობარი, შემდეგ თავი გულზე მიადო. მიშიკოს სახრე ხელიდან გაუვარდა, კამეჩის მი-ეხუტა და კისერზე ხელი გადაუსვა.

— მეც დამნაშავე ვარ, — ბუტბუტებდა ის, — რატომ არ გა
მე დღეს სიმინდი, დილიდანვე კენჭობანს შევრჩი...

II

კვირას მიშიკო სხვებზე აღრე მივიდა ფერმაში. კვირაობით,
როგორც წესი, კამეჩები ზღვაზე უნდა გაერეკათ, რომ მარილიანი
წყლის ნელთბილ ტალღებში ებანავებინათ.

თვითონ მიშიკოსაც ძალიან უყვარდა წყალში ყურყუმელაობა
და სული მისდიოდა, ისე უნდოდა ზღვაზე წასვლა.

მიშიკომ თადარიგი წინა დღილანვე დაიჭირა, ახლა კი მოსვლის-
თანავე თავის საყვარელ ბაჩას დაუძახა. ფურქამეჩი მხიარული ყო-
ყინით გამოეხმაურა და თავაწეული წამოვიდა ბიჭისკენ.

პატარა მწყემსი ჯერ მოეფერა კამეჩის. ჩქებშუა დაყრილ ქო-
ჩორზე ხელი გადაუსვა, მძლე ქედზე წაუთათუნა და შემდეგ ბაწარი
საიმედო შეაბა. ბაჩა მორჩილად მიჭყვა თავის მეგობარს. მიშიკომ
კამეჩი ქოჩორა ტყეში შეიყვანა. მზრუნველ ბიჭს მისთვის გამოხში-
რული ხვერდოვანი სიმინდის გორა დაეხვავებინა. სიხიარულისაგან
ბაჩამ უნებლიერ დაიზმუვლა:

— ო-ა-ა-ყ, ო-ა-ა-ყ! — და საჭმელისაენ ღონივრად გასწია.
მიშიკომ ბაწარი მიუშვა და თვითონ კი კმაყოფილი განზე გადგა. ბა-
ჩა საჭმელს მიეძალა, მაღიანად ახრამუნებდა წვნიან ღეროებს. პა-
ტარა მწყემსს ღიმილი დასთამაშებდა სახეზე:

— მშვიდად, ჩემო ბაჩა, მშვიდად! ეს სულ შენია! სასილოსე სი-
მინდში გამოვერი, არავინ შეგეცილება, მშვიდად ჭამე, შორი გზა
გვაქვს და არ მოგშივდეს, ოლონდ ლობესა და სამარცვლე ყანებს მო-
ეშვი და ჩიტის რძესაც არ დაგაკლებ. ხომ მოეშვები, ბაჩა! — უცებ
შეუწყრა მწყემსი, — ხომ მოეშვები! — გაუმეორა უფრო ხმამალლა,
თითქოს პირუტყვს პასუხის გაცემა შეძლებოდეს. ბაჩა მაღიანად ახ-
რამუნებდა სიმინდის ნორჩ ღეროებს, ბიჭის მუქარას ყურადღებას
არ აქცევდა.

— ჩემო ბაჩა, შენი წუწყობის გამო შევი დღე დამაწიეს, ყანა-
ში შენ შეიპარე, პასუხი მე მაგებინეს! არც ასე ვარგა, სინდისიც ჭურულა-
გი საქონელია. თუ კიდევ გატეხ ლობეს, პიონერები დაუსჯელად არ
დამტოვებენ. ნუ იქ ამას, ჩემო ბაჩა, შენი ჭირიმე! დღეს მაინც მო-
მასვენე, ახლა ჭამე, რამდენიც გინდა, გაძეხი! მერე ზღვაზე ნუ გა-
მაწვალებ, ერთი გემოზე ვიბანაო, უდარდელად ვიყურყუმელაო. შე-
ნი ოინგბი დღეს მაინც დაივიწყე, ნუ იქნები უმაღური!

ბაჩა არც ახლა უგდებდა ყურს, იმოდენა გამონამარგლი თვალ-
სა და ხელს შუა ისე მოასუფთავა, ერთი ნაქურჩალიც არ დარჩენი-
ლა. სიმაძლრისგან სუნთქვაშეკრულმა და აქოშინებულმა, როგორც
იქნა, თავი წამოსწია და კეთილი, მადლიერი თვალებით პატარა
მწყემსს შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: — გაიხარე, იცოცხლე, კარგი
კაცი გაიზარდე!

მიშიკომ ბაწარს მოსწია და მორჩილი კამეჩი ფეხდაფეხ მიჰყვა.
ბიჭები უკვე შარაგზაზე გამოდიოდნენ. მიშიკომ ბიჭებს არ დაუცა-
და, შეახტა ბაჩას ზურგზე, მოხერხებულად მოკალათდა და ბაწარი
ნებაზე მიუშვა.

ისე გადაალახა ბაჩამ ზღვისაკენ, იფიქრებდი, ნამდვილად იცის,
დღეს რომ კვირა არისო.

შორიდანვე, როგორც კი ზღვა გამოჩნდა, კამეჩებმა ფეხს მოუჩ-
ქარეს. ძუნძულით გაცვივდნენ ქვიშამოყრილ მინდორზე, ხერშიან
სანაპიროზე ყოყინი მორთეს და ძუნძულითვე შეტოპეს წყალში. აქ
თავები დაბლა დახარეს და ხარბად დაეწაფნენ მარილიან წყალს.
სვეს, სვეს, ფშვინვით შეისვენეს, დრუნჩი სიამოვნებით მოილოკეს,
ისევ დახარეს თავი და თითქოს აქამდე წვეთიც არ დაელიოთ, ისევ
წყალს დაეწაფნენ.

კამეჩებს ისე უყვართ ზღვის წყალი, როგორც ადამიანებს შუშ-
ხუნა ხვანჭებარა. ბაჩაც გიჟდებოდა ზღვის წყალზე, პირველი შევარ-
და დასალევად, მაგრამ უკანასკნელმა დაიოკა წყურვილი და შემდეგ,

როგორც მძიმედ დატვირთული კარჭაპი, ნაპირიდან ტალღებში ჟერაცია
ცურდა. მასთან ერთად შეცურდა მიშიკოც. მწყემსი ბიჭი ხან დგა-
თუნით გადაეშეებოდა წყალში, ხან კამეჩის კუდში ჩასჭიდებდა ხელს
და კუსავით ბაჩას ზურგზე მოიკალათებდა ობილად.

საათბეი მიშიკოს ბაძავდა, თავის მოუსვენარ ბილგას ზურგზე შეასკუპდებოდა, მაგრამ კამეჩი ისე შეიკუნტრუშებდა, საწყალ ბიჭს აქაფებულ ტალღებში უკრავდა თავს.

სელ სხვანაირად ეჭირა თავი რაზანბეის გუბანს. გუბანი აფხა-
ზურად ეჯნის ლეიბს ნიშნავს. ალბათ, უსაფუძღლოდ არ შეარქმევ-
დნენ ამ სახელს. დინგად მიცურავდა გუბანი. სწორი და ლეიბივით
განიერი ზურგი ჰქონდა. პატარა რაზანბეი ხან მოირთხამდა მის ზურ-
ვზე, ხან პირალმა გაწვებოდა, ფეხს ფეხზე შემოიდებდა და მცხუნვა-
რე მზეს მიეტიცხებოდა.

კამეჩებს დღიდ შესართავთან აბანავებდნენ. სანაპიროს აქ ფართო ზოლივით გასდევს მდინარე. ეს ზოლი ნაწვიმარზე უფრო შეიმჩნევა. წვიმის შემდეგ მთის ჩანჩქერებიდან მღვრიე ნაკადები ჩამოკდინება და იწურება მდინარეში. შესართავთან წყალი გაზავებულია და შედარებით ნაკლებად მლაშეა. წუხელ, ნაშუალამევს, ზაფხულის წევიმამ გაიხმაურა, მაგრამ, ჩანს, მთებში მერეხი მოვარდნილა, ისეა ჩამუჭქებულ-ჩაყვითლებული მთელი სანაპირო შესართავის გასწვრივ.

მწყემსებმა წინასწარ დათქვეს, კამეჩები ამ ზოლიდან, შორს, ლია ზღვაში, არ გაეშვათ. იქ უფსკერო ჯურლმულებია, ზღვის კატები და დელფინები დაცურავენ და საშიშიაო. მიშიეროს არც ერთისა ეშინოდა და არც მეორესი, ბაჩას ხომ წყალში შესვლისთანავე ავიწყდებოდა, რომ ხმელეთის ბინადარი იყო. დაადებდა თავს და ისე მოუს-ვაძლა ფეხებს, თითქოს მეორე ნაპირზე გასვლა ჰქონდეს გადაწყვეტილი.

ახლაც ყველაზე წინ მოწევდა და განიერი მკერდით მედგრად მიარღვევდა გადაქონჩილ ტალღებს. თამაშში გართულმა მიშიკომ ვერ შეამჩნია, როგორ მიიღია სანაპიროს ზოლი. თავდაპირველად

ამხანაგები გვერდით მოსდევლნენ. უკან რომ მოიხედა, საათში ბილგას ზურგზე შემდგარიყო და უკან უხმობდა მეგობარს. ამდენიც მობრუნდები, მიუგო მიშიკომ, თავის ფურქამეჩს ბარტყუნა ყურზე სტაცა ხელი და ღონივრად დაქახა:

— მობრუნდი, ბაჩა, მობრუნდი, გვეყოფა თამაში, ნაპირზე გავიდეთ!

გალალებულ, მაძლარ ფურქამეჩს მიშიკოს სიტყვები ყურში ორც: შეუშვია. მიცურავდა თავისუფლად და მსუბუქად, აბა, რა ტვირთი უნდა ყოფილიყო მისთვის პატარა მიშიკო! კისერი წაეგრძელებინა, კუდი ლალად გაეჭიმა, მარილიან მორევში ყურებამდე ჩაფლულს თვალები ხარბად დაეღო და ხანდახან სასიამოვნოდ მლაშე ყლუპს ხახაში გადაუძახებდა ხოლმე.

— გეყოფა, გიბრძანებ, დაბრუნდი! — ახლა რქაში სტაცა ხელი ბიჭმა გავეშებულ კამეჩს და შეეცადა კისერი მოეგრიხა მისთვის. თავი ვერ შეიმაგრა და წყალში მოადინა ტყაპანი. შეკრთა ბიჭი, მხარულით წამოეწია ბაჩას და ისევ ზურგზე შეაცოცდა.

— რას ჩადი, ბაჩა, გეუბნები, გაბრუნდი, აქეთ, ასე შორს, საშიშია! ახლავე გაბრუნდი! — კამეჩს არც ეს სიტყვები ჩაუგდია. აინუნში. მაშინ ბიჭუნა ზურგზე შედგა და დოინჯშემოყრილმა ნაპირს გახედა. ბიჭები ერთმანეთზე მიხერგილ დიდრონ ქვებზე იდგნენ და ამხანაგს ტანსაცმელს უქნევდნენ, ისინი ჩიტის ტოლალა ჩანდნენ.

— ეე... ე! ეს კი მეტისმეტია! — წამოიძახა სიცივით გალურჯებულმა მიშიკომ და უკანასკნელ ხერხს მიმართა. სწრაფად გაძერა რქებს შუა, რბილ ნესტოში ხელი შეუყო, მაგრად ჩაეჭიდა და განზე გადასწია, თან პირი ზედ ბარტყუნა ყურზე მიადო და რაც ძალი და ონე ჰქონდა, ჩასძახა:

— ბაჩა, შე ულმერთო, რას მიშვრები!.. ბაჩა, ბა... ჩა, გავბრუნდეთ უკან, გვე... ყო-ფა!

კამეჩი თითქოს ახლა გამოერკვა და ბიჭის ამ განწირულმა ძა-

ხილმა გონს მოიყვანაო, ოდნავ გვერდზე გადაწვა, წყლის ზედაპირს
თავი მოსწყვიტა და მშვიდად დაიზმუვლა:

— ო-ა-აყ!

ეს მორჩილების ნიშანი იყო.

ბაჩამ ერთი კი გახედა გაშლილ ზღვას და პირი ნაპირისკენ ქნა:

— ოპო... ეს რა სიშორეზე წამოვსულვართ! — გაუკვირდა მი-
შიკოს და კამეჩის ზურგზე საიმედოდ მოკალათდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი სამშვიდობოს იყვნენ. პატარა
მწყემსები მიცვივდნენ ფალავანთან და გულად მიშიკოს სიმამაცე
შეუქეშ. ახლა ცხადი იყო, ბაჩას მთელ ფერმაში ბადალი არ ჰყავდა.

— ჩემს გემოზე დამყავს, ვუბრძანებ, წინ მიდის, ვუბრძანებ —
უკან, არც ზღვისა ეშინია, თუ მომინდა, მეორე ნაპირზე გამიყვანს;
შუა გზაზე რომ ვიყოთ, ვუჩურჩულებ თუ არა, უკან გამობრუნდე-
ბა, ჩემი სიტყვა მისთვის კანონია. მააშ, ეგრე მყავს დაგუშილი! —
შეუნახა ნამუსი ბაჩას პატარა მზრუნველმა.

ლაფში ნაწოლ კამეჩებს ტანზე რუხმლვრიე ფერის ტალახი აქვთ
ხოლმე მიმხმარი. ეს სამოსელი მათ ზღვაში ჩაეტოვებინათ და ახლა
სრიალა ხმელი სიმინდის ულვაშისფერი ბალანი, ქონით გაპოხილი-
კით, უბზინავდათ მზეზე.

ყმაწვილებს წყალში ჯდომით სახე გალურჩებოდათ, ხოლო მო-
შიებულ კამეჩებს რძიანი ბალახი მონატრებოდათ. ზღვის სანაპირო-
ზე მწვანე მინდვრები იყო გადაჭიმული. მაღალი მელაკუდით შეკ-
რულ ჩირგვნარს მუხლამდე ავარდნილი ბალახით მობიბინე მდინა-
რის კრცელი ჭალები მოსდევდა, ფერდობი კოწახურისა და კვადა-
ცის ბუჩქნარს ჩაემუქებია. გვიმრა იმ სიმაღლეზე გადაქოჩილიყო,
ცხენიანი კაცი ჩაიმალებოდა შიგ. მთელი ეს თვალუწვდენელი მიდა-
ბო საბალახოდ იყო მიშვებული. სიმინდის ყანები ზღვაში მიმოფან-
ტულ პატარა კუნძულებივით ღალანებდა.

ბიჭებმა კამეჩები საბალახოდ გარეკეს, თვითონ დაჩუტული
ბურთი გაბერეს და ურიამული შექმნეს. ზოგმა ანკესი გამართა და
მდინარეში ჩაუშვა. ზოგიც ტყეს შეესია. სწორედ ამ დროს თავის



განუყრელ ლურჯაზე ამხედრებული კოლმეურნეობის თავმჯდომარებელი ბილიკი ბილიკი

რე ბილიკი ბილიკი.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — შორიდანვე მიესალმა პატარა მწყემ-
სებს და მარჯვენა ხელი ჰაერში შეათამაშა, შემდეგ უნაგირზე გადა-
იწია და უზანგიდან მარცხენა ფეხი გაითავისუფლა.

— გაგიმარჯოთ! — ერთხმად მიუგეს პიონერებმა.

— ყოჩალ, ყმაწვილებო, ყოჩალ! — თვალი გადაავლო კამეჩებს
ბილამ და მწყემსი ბიჭები შექო. შემდეგ უზანგზე შედგა, წელში
გაიმართა და ჭოგს გადახედა:

— ყურადღებით იყავით, ბიჭებო, ეგე კამეჩები ყანას უახლოვ-
დებიან, ბაჩა ხომ არა იქ?

— ბაჩა აგერაა, ნუ შიშობთ, ის დღეს ყანაში არ შევა, ფეხდა-
ფეხ დავდევ! — მკვირცხლად მიუგო მიშიკო. მიშიკო მაღალ ბუჩქ-
ნარში იდგა და თავმჯდომარეს აქამდე არ დაუნახავს.

— აბა, შენ იცი, მიშიკო, აქ ისეთი ყანა დგას, მისი გაფუჭება
საცოდაობაა, ტანი აუყრია ყამირზე, აი, ნახეთ! — უნაგირზე მიკ-
რულ თოფტაკიდან წყროთანი ტაროები ამოაძრო, ფუჩქები ჩამოაცა-
ლა და ფართო მარცვლებით გაჭედილი ტაროები ჰაერში შეათამაშა.

— ნახეთ!

— იქით, ქვემოთ, მეც ვნახე, ღეროზე ოთხი ტარო მაინცაა, სი-
მინდი ისეთი ღონიერია, ზედ ახვალ და პოპორთან ჩამოჯდები, — მი-
უგო საათბეიმ.

— აბა, ყველგან მშვენიერად გაიხარა, ისაა რომ ცოტა დავთე-
სეთ, ასეთი ნოყიერი ადგილები დღემდე გამოუყენებელია... მაგრამ
მომავალ წელს ვნახოთ... დანაქადი თუ შევასრულე, მოწეული ჭირ-
ნახული ორ წელიწადს საჭმელადაც გვეყოფა და პირუტყვისთვი-
საც. — ისევ შედგა თავმჯდომარე უზანგებზე და უსარგებლო ჩირგ-
ვნარით დაფარულ ხელუხლებელ ყამირს გახედა.

უნაგირზე რომ დაეშვა, თითქოს გულფიცხობსო, ბედაურს მაგ-
რად გადაუჭირა მათრახი, სულ ჭენებ-ჭენებით აიყვანა გვიმრით მო-
ფენილ ბილიკზე და ბიჭებს ომახიანად გასძახა:

— თქვენი კირიმე, ბიჭებო, აბა, თქვენ იცით, ჰქუით!..

მობურთავებმა ოც-ოც გოლამდე გაიტანეს, მეთევზებმა თი-თო-ოროლა ასხმა წვერა დაიჭირეს. ტყეს მისეულებმა ველური თხი-ლი, პანტა, მევახე კოწახური და შეფერადებული წაბლი მოზიდეს კალათებით და ჩამავალმა მზემაც ოქროს დალალი მოვარაყებულ ზღვაში ჩაუშვა.

— აბა, თავი დაბლა! — უბრძანა მსუყე ბალახით რუმბივით გაბერილ ბაჩას ხელცარიელმა მიშიკომ. ბიჭი კუდში გამობმული დასდევდა ფურკამებს და მთელი დღე არც უთამაშია და არც უთევ-ზავია. ხელი ქოჩორზე წაუთათუნა. კამებისა თავი ძირს დახარა. პატა-რა მწყემსმა ფეხი რქებს შუა დადგა, იქიდან კისერზე გადაინაცვლა, კისრიდან ქედზე ისკუპა და ფართო ზურგზე მოირთხა. იფნის შოლ-ტი ჰაერში შეათამაშა და ზღაზენით წამოსული პირუტყვი ბილიკზე გაიყვანა.

დანარჩენები ბაჩას კვალდაკვალ ჩამწერივდნენ.

დინგი პირუტყვი აუჩქარებლად მიიწევდა წინ, ბიჭები ჩქარობ-დნენ, მაგრამ კამების, ცა რომ თავზე დაატეხო, ნაბიჯს ხომ ვერ ააჩ-ქარებინებ!

ბილიკი ბილიკს ჰქვეთდა. მოხშირდა მისახვევ-მოსახვევი. ბო-ლოს საურმე გზაზე გადმოვიდნენ. აქ ჯოგი თავისთავად ორ ნაწილად გაიყო. ჯერ ერთგან გაისმა მხიარული იფხაზური „ანთიცა“, მას მეო-რეგან „იაირუმა“ მიჰყვა. დათვების ამ სასაცილო საცეკვაოს ბიჭებ-მა ტაში შეუწყვეს, შეიქმნა ცეკვა-თამაში კამებების ზურგზე. აქ კი გის შეეძლო მიშიკოზე უკეთ „მოეთელა ჩოხა“? გადამტვრეული წნელი ხანგალივით გაიყარა ქამარში და გაზულუქებულ ბაჩას თი-თის წვერებსლა აკარებდა გათვითვინებულ გავაზე. ხან შეპივლებ-და, ხან შეუსტვენდა; ჩაიჩიქებდა, ჩაბუქნავდა, შეხტებოდა, ხან-ჯალზე ხელს იტაცებდა და ცერებზე ისე შედგებოდა, თითქოს უჩი-ნარი თოკით ცის გუმბათზე ყოფილიყოს დაკიდებული. შემდეგ ელ-გის უსწრაფესად გაასავსავებდა ფეხებს და გავიდან ქედისაკენ, ხერ-ხემლის გაყოლებაზე, ცერულით წამოვიდოდა. მოდიოდა, თითქოს

შარიშხლით აწეწილ შავ ქოჩორს ხელის ერთი აკვრით შეისწავლით
და, შემდეგ ისევ შეპკივლებდა და ცერულით გავლილს ახლა ბუქნით
და კოტრიალით მოიტოვებდა უკან.

III

დადგა შემოდგომა. ყანები დაცარიელდა, ჭირნახული აიღეს.
ჩალა ხეებზე დაზვინეს. სასილოსე კოშკები ამოყორეს, ოქროსფერი
და ვერცხლისფერი ტაროები სასიმინდეში შეყარეს. წნელის ღობეც
გაქრა, მუხლებამდე მწიფე ბალახით — „აჭყუარტალით“ აბიბინე-
ბულ ნასიმინდარში ნახირი თავისუფლად დაბალახობდა. აღარც
მწყემსები ჩანდნენ ხოდაბუნებში. მათ დღეობა გაუთენდათ, ახლა
საჭირო აღარ იყო პირუტყვის კვალდაკვალ დღედაღმა ტანტალი.

პიონერებმაც დიდი ხანია სკოლას მიაშურეს, წიგნსა და რვე-
ულს მოჰკიდეს ხელი და ოთხფეხა მეგობრებს დროებით გამოეთხო-
ვნენ. გულიდან მაინც ვერ ამოიღო ბაჩა მისმა ერთგულმა მზრუნ-
ველმა. მივიღოდა მიშიკო ფერმაში, ჯიბით ტარო სიმინდს მიუტანდა
და თვინიერ პირუტყვის პირს ჩაუტკბარუნებდა.

ბიჭუნამ იცოდა, წელს გვარიანი მოსავალი აიღეს, მაგრამ სა-
ფურაჟე სიმინდი მხოლოდ მეწველი ფურებისთვის ჰყოფნიდათ და
როცა მინდორზე მწვანე ბალახი ბიბინებდა, აზრად არავის მოსდიო-
და, გაზუღუქებულ ბაჩასათვის სიმინდი ეჭმიათ.

მერე რა გამოვიდა, ფურკამეჩმა შეხტა-შეიკუნტრუშა, ტორი
უკუყარა. არც ბალახს დააკარა პირი და არც თივას.

— არა უშავს, შიმშილით კუჭი რომ მოეწვება, თივასაც ჰყინ-
ტი სიმინდივით შეახრამუნებს, — ხუმრობდნენ ზოგიერთები და გან-
ზრახ ერთ მარცვალ სიმინდსაც არ აღირსებდნენ საღერღელაშლილ
ფურკამეჩმს.

თივას უგემურად ღეჭავდა. ცოტაოდენს შეჭამდა, თითქოს გე-
მოს უსინჯავსო და განზე გადგებოდა. დამშეული კბილებს ახრჭია-

ლებდა. წყალს მიეძალებოდა და დაწვებოდა. გახდა, ფერდები შცვივდა, ღაბაბი დაუპატარავდა, ქედი შეუთხელდა.

— ნახე, თუ ავად არ გახდეს! — ამბობდნენ კოლმეურნეები. — ჩანს, არც ისე სუსხიანი ზამთარი იქნება. მივცეთ დასილოსებული სიმინდი, მაინც გვეყოფა!

რა ღიდი სიხარული იყო ბაჩასთვის მიშიკოს ფერმაში გამოჩენა:

— ო... ა... ა... ყ! — გაისმოდა ნაწყენი, ნირწამხდარი ზმუილი. ბაჩა თითქოს თავის გულისტყივილს უმხელდა ბიჭს.

— ძია მურზაყან, სილოსის დარიგებაში გიშველით, მხოლოდ წება მომეცით, ბაჩას ცოტაოდენი ვუზიარო, ძია მურზაყან; შენი ჰირიმე!.. მეწველ ფურებსაც მოვუტან და ბაჩასაც...

— კარგი, გაიქეცი, აჲა, ვარცლი, მხოლოდ გამგემ არ გნახოს, შე ჰინჯავ, თორემ...

მიშიკო სასილოსე კოშკისკენ გარბოდა, ბაჩა კი ყოყინით უხ-მობდა ბოსლის ბნელ დერეფანში მიმალულ თავის მფარველს.

უნდა გენახათ ბაჩა, როცა წვნიანი სურნელოვანი ტაროებით პირს გამოიტენიდა! ლალად ასწევდა თავს მალლა, კუდს ზანტად იქ-ნევდა, საკვებს ახრამუნებდა და ბედნიერებით სავსე თვალებს მი-შიკოს შეანათებდა ხოლმე.

მაგრამ ყველა მწყემსი ძია მურზაყანივით დაომობაზე როდი მიდიოდა და არც მიშიკოს ეცალა ყოველდღიურად ფერმაში სასია-რულოდ. ხან წისქვილში გზავნიდნენ, ხან კოოპერატივში, ნავთისა და მარილის საყიდლად, ხან დროულად გაკვეთილების მომზადებას ვერ მოასწრებდა, განსაკუთრებით როცა თავსამტვრევი ამოცანა გა-მოერეოდა. ერთი სიტყვით, ბაჩას ბედნიერი დღე იშვიათად გაუთენ-დებოდა ხოლმე. მხოლოდ მიშიკოს ერთი რამის იმედი ჰქონდა: კი-დევ რამდენიმე თვე და ფურკამეჩს ზაქი უნდა მოეგო. მაშინ ბაგურ კვებაზე გადაიყვანდნენ და ჰყინტი სიმინდის სურნელოვანი სილო-სიც თავსაყრელად ექნებოდა. აი, როდის გაიხარებდა ბაჩა და გამხმა-რი თივით ანატკენ მუცელსაც დაიამებდა... ეს სანუკვარი დღე არც ისე შორს იყო და ცოტაოდენი ბაჩასაც უნდა მოეთმინა, სხვა გზა არ იყო...

დადგა ზამთარი, ნამდვილი აფხაზური ზამთარი. ღამ-ღამილი გრილი ზლვაური უბერავდა. დლისით მზე ათბობდა სამოდ. წერვ-სებში ყვითლად აფეთქებული მიმოზა ჰყაოდა, ღელეების სანაპიროზე ახლად ამონაყარი მწვანე ბალახი ბიბინებდა. ბუჩქის ძირას ნეშოს ფაჩუნით იბერებოდა მიწა, ია და ენძელა გასაშლელად ემზადებოდა, სუროებზე გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ ქედნები, შაშვები მწიფე კურკანტელს მისევონენ, ჭანჭრობში ტყის ქათმები ჩაბუდებულიყვნენ, მთვარიან ღამით საზამთროდ მოფრენილი იხვების ღრუბელი ნიავის სისინს ამოჰყვებოდა ზლვიდან და ნასიმინდარ ველებს დააცხრებოდა.

დეკემბერი რომ მიიწურება და ნარინჯოვანებს დააბინავებენ, აფხაზეთში მხოლოდ მაშინ იტყვიან, ზამთარი მოვიდაო. მაგრამ ზოგჯერ იანვარი დეკემბერზე უფრო თბილია. არც ჩამოთოვს, არც სიფრიფანა ყინულს გადაიკრავს ჩაგუბებული ტბორები, ასე მოსდევს დღე ღამეს. გაიხედავ, ხეში წყალი ჩადგება და ჩიტი-ჩიორა საძირ-ძეველს დადგამს. თუმცა, ჩვენში იტყვიან, მარტი თუ წინ არის, ზამთარს ნურც ავინებ და ნურც აქებო. მარტმა, შესაძლოა, ყვავილებით დახუნძლულ ტყემალს და ალუჩას, ვაშლსა და ატამს თოვლის თეთრი ზეწარი გადააფაროს.

იმ წელსაც უჩვეულოდ თბილოდა. ხეხილის ნარგავებმა ვერ გაარჩია გაზაფხული იყო თუ ზამთარი და იანვარში ყვავილი გაშალა-ლურჯი ცა თვალისმომჭრელად კამკამებდა. მოსწავლეები საზაფხულო, მსუბუქი ტანსაცმლით დადიოდნენ სკოლაში. საკლასო თახების ბუხრებში ჯერ ცეცხლი არ შეენთოთ.

პირუტყვს დილითვე გარეკავდნენ მინდორში. ხეგბზე დაზინულ ჩალას მინდორშივე დაუყრიდნენ. ასე მშვიდობიანად და კარგად იზამთრებდა საქონელი.

მაგრამ, ზამთარი აფხაზეთშიც ზამთარია! უცებ, სად იყო სადარა, სოფელს მგლის ხროვა დაესხა თავს.

ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი ქედი საზღვრავს ჩვენს ქვეყანას. ის იცავს ამ მზიურ მხარეს სუსხიან თოვლბუქისაგან და გამ-

გინავი ქარიშხლებისაგან. ეს ცათამბჯენი საიმედო კედელია მზეს და ფიცხებული აფხაზეთის სასუმალთან. მის მაღალ ქეჩოზე მქონე შერშივე ჩამოთვეს ხოლმე და მაღალი მწვერვალები შაქრისყინულოვან კონუსებს და ემსგავსებიან. შემდეგ და შემდეგ ზამთარი დაბლა მოცოცავს, ქოჩორა ხეებსა და ხეობებს თოვლითა და ყინულით დამოავსებს და იქაურ მკვიდრთ ლუკმას გაუქრობს. მგლები მოითათბირებენ, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთო? და ერთბაშად სოფლის გზებსა და ბილიკებს დაუყვებიან. ქვევით სითბოსთან ერთად საკბილოც თავსაყრელად ეგულებათ.

საქბილო კი ბლომად ეგულებათ, მაგრამ შავ დღეში მყოფთ ავიწყდებათ სამგლედ დატენილი ორლულიანი თოფები... ამასაც ხომ ანგარიშის გაწევა უნდა? იმ თხისა არ იყოს: მხალი რომ დაინახა და ღობე კი ვერა.

სოფელში ერთბაშად გავარდა ხმა, წუხელ ხიფაფის თხა მგლებს შეუჭამიაო. საცოდავ დედაბერს თურმე რქა და ჩლიქებილა უპოვიატყეში. პატრონის ცოდვა, თორემ თხაზე ახიაო, თავნება ვინმე ბრძანებულაო, ამბობდა ხალხი. ჯერ ხუმრობდნენ, მაგრამ თხას უშობელი რომ მიჰყვა, უშობელს კვიცი, კვიცს ძროხა, ძროხას კამეჩი... და ეს კამეჩი ჩვენი პატარა რაზანბეის კაბანი გახლდათ, მაშინ კი, ჰე-ჰეი, დიდი და პატარა ფეხზე დადგა და მონადირეებს წინ აცრემლებული რაზანბეი გაუძლვა... „მარეკლები“ ღვთის რისხვას ატრიალებდნენ. ტყეში, ჯვარედინ ბილიკზე ჩასაფრებული მონადირეები კი იარაღო-მარჯვებულნი ნადირის გამოჩენას უცდიდნენ. შებინდებისას თუ დილაბნელში აქა-იქ დაიქუხებდა ხოლმე ორლულიანი თოფი.

აბა, ახლა რომელი ჭკუათამყოფელი დატოვებდა საქონელს ველად. ბაჩა ქართაში შეამწყვდიეს სხვა მაკე კამეჩებთან ერთად. როგორც იქნა, ელირსა დასილოსებული ჭყინტი სიმინდის საძლომიულუფა.

ბაჩა ღობესთან იწვა. უკანა ფეხები თავისუფლად გაეჭიმა, მძიმედ სუნთქვდა და ღობის წნულიდან დალონებული გაჰყურებდა გაძარცულ უღრან ტყეს.

ამ ტყეში იყო, მიშიერ რომ ჭყინტტაროებიანი სიმინდის გორას უხვავებდა. იქნებ ახლაც იყოს იქ მწვანე ლეროები შესახრამუნებლად დაჭრილ-გამზადებული? იქნებ ასეთმა ფიქრმა გაუელვა გულში ჩვენს ბაჩას. ვინ იცის?

ასე იყო თუ ისე, ბაჩა წამოდგა, გაიზმორა, წელში გაიმართა, მეზობლებს უგუნებოდ გადახედა, ისევ ტყეს გაუსწორა თვალი, შემდეგ თითქოს გაგულისებულმა „ფფუუო“ ერთი შეუქშინა და თავისი ლაპლაპა რქა ისე გაპკრა-გამოჰქრა ღობეს, თითქოს მოსისხლე მტერს ეკვეთაო. ლაწალუწითა და ერთი ამბით დაიმსხვრა ღობე, ფიჩების ნატეხები ბოსლის კედლებს მიენარცხა.

ბოსელში დურგლები მუშაობდნენ, ზაქებს ბინას უმზადებდნენ. ბირდაბირების ხრიალსა და ნაჭახების კაკუნში ღობის ლაწალუწი ვერ გაიგონეს.

ბაჩამ ზანტად გადმოალაჭა ჩაღუნულ მესრებს შორის, ზარაზე გავიდა, წყაროსთან ტყისკენ მოუხვია, ფერდობზე ჩირგვნარში შეჰკუ თავი და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

ყველაფერ ამას დანარჩენი ფურკამეჩები ხედავდნენ, მაგრამ ფეხი არავის მოუცვლია. ლირდა განა საღმე წასვლა? უკვე საღამო იყო. საცაა მთელი ჯოგი მინდვრებიდან დაბრუნდებოდა. ტყეში კი გავე-შებული მგლები დაშლიგინებდნენ.

ბაჩამ ტყე მოიარა, თითქოს იქაურობა არ მოეწონა. ტყიდან გამოვიდა, საპირისპირო მხარეზე ლელის ნაპირამდე დაეშვა და დინებას ჩაჰყვა. ქვემოთ „ქოჩორა მსხლის“ დაცარიელებული ჭალა იწყებოდა სიმინდის გადაჭრილი ხმელი ლეროებით. აქ მრავალჯერ შეჭრილა და გალალებულა ჩვენი ბაჩა. ჭალას ჭაობი მოსდევს, ჭაობს ბნელი ტყე, გულჩახვეული და გაუვალი. ვინ მიერეკება ბაჩას მაინც-

დამაინც ამ შავი ტყისკენ? ნუთუ ბედისწერამ აიტანა ფერმის ფალა-
ვანი: იქ ყველაზე გულადი მონადირებიც ვერ შებედავენ ღამის
მარტოდმარტო. ბაჩა კი ვისი იმედით მიბაჩუნებს იქით, თავისი წყვი-
ლი რქების ამარა!

ახმაურდა ფერმა. პირუტყვი მინდვრიდან დაბრუნდა. ფურები-
სა და ხბოების ბლავილი ერთმანეთში აირია. ატყდა ალიაქოთი.
მწველავებმა ვედროს დაავლეს ხელი, თივის ზვინებსა და სასილო-
სე ორმოებში ორთითები და ვარცლები ახმაურდნენ.

ამ ფაციფუცსა და ვაიუშველებელში გვიან შენიშნეს გარღვე-
ული ღობე. მალე ფურკამეჩები შეამოწმეს, ბაჩა არსად იყო.

უკვე ბნელოდა, წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ბაჩას დღე-
დღეზე ზაქი უნდა მოეგო. განა ამაღამ, როცა გარშემო მგლები და-
თარეშობენ, ფერმის თვალის ღვთის ანაბრად ტყეში დატოვება და-
საშვები იყო? ფერმაში მოხუცი დარაჭილა დარჩა. მწყემსებმა სანა-
დირო თოფები მხარზე გადაიკიდეს და საძებრად წავიდნენ. მოედვ-
ნენ ტყესა და მინდორს, შეიქმნა სტვენა და ძახილი, მაგრამ ბაჩა არ-
სად ჩანდა.

ფერმის მუშაკებს ახლოს მცხოვრები კოლმეურნეებიც შეუერთ-
დნენ. ზოგს ჭრაქი ეჭირა ხელში, ზოგს ფარანი. ერთი ხელისდადე-
ბა მიწაც არ დარჩენილა გაუჩხრეკავი „ქოჩორა მსხლის“ სამფლო-
ბელოში, მაგრამ ფურკამეჩს თითქოს მიწამ პირი უყო, მის ასავალ-
დასავალს ვერსად მიაგნეს.

— ბაჩა, ბა... ჩა, ბაჩა! პში...ე, პშიეე! — გაისმოდა ბევრგან,
მაგრამ პირუტყვი პასუხს არ იძლეოდა.

— ალბათ, ზაქი მოიგო, ზოგიერთი ფურკამეჩი ასეთ დროს უღ-
რან ტყეში გარბის. ბაჩაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ის შიგნით უნ-
და შეგვემწყვდია, ბოსელში. ღობით რას გააჩერებდი? თქვა ყველა-
ზე გამოცდილმა მწყემსმა მურზაყანმა.

— ჰოო, ამ ტყეში თუ შევიდა, ზაქს კი არა, საკუთარ თავსაც

შიგ დატოვებს მგლების საბურთაოდ უგუნური პირუტყვი, ჩვენ მე-
ფურ პალატებს ვამზადებო ზაქისთვის, ის კი უღრან ტყეში გარმავა-
რომ შიგ ხახაში ჩავარდეს ნადირს! — წამოიძახა დურგალმა გიდუმ.

მურზაყანის ნათქვამმა მწყემსები სულ ააფორიაქა. პატარა,
თმახუჭუჭა. პუტკუნადრუნჩებიანი ზაქი მგლის კერძად არავის ემე-
ტებოდა. უკან დაბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. თოფებს ზედი-
ზედ აქუხებდნენ, სიმინდის ხმელი ღეროების ბრიალა კოცონებს ან-
თებდნენ, უსტვენდნენ, შორიშორ ერთმანეთს გასძახებდნენ. რომ
სათარეშოდ გამოსული ნადირი დაეფრთხოთ და როგორმე დილამდე
დრო გაეტანათ.

უკვე შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, მურზაყანს პატარა
მწყემსი მიშიკო, მოაგონდა:

— ეი, ბიჭებო, ეს აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეთ? როგორც
კი ბაჩა მიშიკოს ხმას გაიგონებს, უსათუოდ დაიზმუვლებს, სადაც
არ უნდა იყოს, ხმას გასცემს. ეს უეჭველია!..

— მართლაც ასეა!

— მართლაც!

პატარა მწყემსი შუა სოფელში ცხოვრობდა, დურგალი გიდუ
აფრინეს იქითენ. მიშიკოს უკვე გაეგო ბაჩას გაქცევის ამბავი, მე-
ზობელ ტოლსწორებთან ერთად მზად იყო საძებრად, მაგრამ უფრო-
სები არ უშვებდნენ, ღამით ბავშვებს ტყეში რა ესაქმებათო. მიშიკო
გათენებას ელოდა მოუთმენლად. ის იყო ალიონმა პირველი ცისფე-
ზი მტრედები ცაში ააფრინა, გიდუ ალაგეს ზოადგა.

ურიამულით წამოვიდნენ პიონერები, მიშიკომ კი ეზოდან გად-
შოსვლისთანავე ძახილი მორთო.

— ბაჩა, ბა... ჩა, ბა... აა... ჩა! — თითქოს ფურკამეჩი საღმე იქ-
ვე ახლომახლოს ეგულებოდა.

ღელესთან მურზაყანის ჯგუფს შეხვდნენ, მათ ფალასკები თით-
ქმის სულ დაეცალათ. დამწვარი თოფისწამლის მწვავე სუნი ეცა მი-
შიკოს.

მზემ პირველი სხივები სტყორცნა ჩაბნელებულ ტყეს. შორები დან სროლის ხმა მოისმა. „შვინდის ტყიდან“ ისროდნენ. მურზაყაფა მა თოფში პრიალა ვაზნა ჩადო და სასხლეტს გამოსწია. თოფმა დაიკუხა, ლულიდან ბოლი და ცეცხლი ამოაფრქვია. მურზაყანმა ვაზნა გამოცვალა.

— აბა, კინკა-ბიჭო, წინ გაგვიძეხ, ახლავე როგორმე უნდა მივაკვლიოთ შენს ფურქამეჩის, თორემ ცუდადაა საქმე, მგლები შეჭამენ. მხოლოდ ახლა გაიხსენე, გასულ ზაფხულს ბაჩას რომ აძოვებდი, უფრო ხშირად რომელ ტყეში შეგვავდა ხოლმე? თვითონ ბაჩას სად უყვარდა ხეტიალი? თუ იყო შემთხვევა, გაეპარა და საღმე ტყეში იპოვე? აბა, გაიხსენე! — მიშიკო ფიქრს მიეცა:

— არა, ძია, მე ყველგან დამყავდა, ყველგან ვაძოვებდი, თუმცა, მოიცა, ერთ-ორჯერ, იქ, „შვინდის ტყეში“ სიმინდი ამოვუტანე და სხვებისგან მოშორებით დავუყარე, რომ მშვიდად შეეჭამა.

— ჰო, აბა, საათბერი, ჩქარა წავიდეთ!..

ველი გადაჭრეხს, მოზრდილი ღელე გატოპეს და აღმართს შეუყვნენ. ის აღმართიც რომ ამოათავეს, „შვინდის ტყეც“ ხელისგულივით გამოჩნდა. იმ თვალმიუწვდენელ ტევრში შორიდან რა უნდა დაენახათ.

— ბაჩა, ბა-ჩა! — გასძახა მიშიკომ, მაგრამ არსაიდან ბაიბური არ ისმოდა. მურზაყანმა ისევ დააქუხა თავისი სანადირო თოფი. ბასუხი სადტაც შორს, შორს გაისმა და კიდით-კიდემდე რამდენჯერმე ვანმეორდა.

— წავიდეთ! — თოფი ჰაერში შეიქნია მურზაყანმა და შიგ ახალი ვაზნა ჩადო.

ტევრიდან დიდი ხეობა იწყებოდა, ბზის ბუჩქებით, იელითა და წყავით შეკრული. ამ ხეობაში საოცრება ელოდა ფურქამეჩის მაძებართ. როგორც კი ფერდობზე დაბლა დაეშვნენ, ხრამის მეორე ნაპირზე მათ დიდი რუხი მგელი ნახეს. ის მაღლა მიიწევდა წინა თათებით, ხოლო უკანას მიწაზე ძლივს მიათრევდა. „თოიტ“! — ერთი შეძახა მურზაყანმა, თოფი გამართა და დაუმიზნა.

ხეობაში ყურისწამლებად დაიქცა, ჩახვეული ხმა ისე დაირჩა, თითქოს საღმე გასაქცევს ეძებდა და ვერ პოულობდა. ნადირი შედება, გაიჭიმა, ცერებზე შეიმართა და კოტრიალით წამოვიდა უკან; იგორა, იგორა და გადაზნექილ ბერმუხასთან თავდაყირა ჩაეკიდა უფსკრულში.

— ეგდოს იქ, სად წაგვივა! — მშვიდად თქვა მურზაყანმა, — ალბათ ჩვენებმა დასჭრეს. ჯერ ბაჩა მოვძებნოთ, ეს მერე გავატყაოთ!..

უფრო დიდი ინტერესით გასწიეს წინ. ხეობა მალე გაიარეს:

— ბაჩა, ბა... ა... ჩა! — უერთდებოდა მიშიერს ხმა მდინარის ღრიალს.

ხეობის გასასვლელთან, ჭიუხში, წყლიდან ოცი-ოცდახუთი ნა-ბიჯის მოშორებით თავგატეხილი მგელი ეგდო და სულს ღაფავდა. ჟანგებით მიწას ფოცხავდა, ყმუოდა, უანგარიშოდ იქნევდა ტორებს: შორიახლოდან მურზაყანმა მასაც დაახალა სამგლედ დატენილი •თოფი.

ყველას გაუკვირდა. ციდან ჩამოვარდნილს ჰგავდა ეს ტყიური-რას უნდა გაეტეხა თავი მისთვის?

— ბიჭებს ხაფანგები აქვთ ტყეში დაგებული, ალბათ, გაება. შემდეგ აიწყვიტა და უთავბოლოდ წამობორიალდა, ცოდვამ აქ უწია... — თქვა გამოცდილმა მურზაყანმა.

— ნამდვილად ასე იქნება! — დაეთანხმნენ პიონერები.

— ვაითუ ბაჩამ ამ ხეობაში შემოჰყო თავი, მგლების ხროვას პირდაპირ პირში ჩაუვარდებოდა! — გულიც თან ამოაყოლა, ისე ამოიხვნეშა მიშიკომ.

უფრო მეტად შეფოცებულნი გაუდგნენ გზას, წინ ახალი საოცრება ელოდათ. ეკლით დაბურულ ბუჩქში მუცელგამოფატრული მგელი ეგდო, კბილებით დაეხრა, გადაეტეხა, ძირიანად მოეთხარა ძვალმაგარი ბზა. ბალახი სისხლით მოესვარა, ტალახი აეზილა და ასე კბილებდახრჭენილს სული ამოხდომოდა. მურზაყანს თოფის გასროლაც არ დასჭირვებია.

— მოიცა, ბიჭებო, აქ რაღაც ჯადოქრობაა, ამ მგელს მაინც რა-

და მოუვიდა?! — გაოცდა მურზაყანი, — აქ, შესაძლოა, საქმე სულ
სხევანირად იყოს, დამაცადეთ... — ყურადღებით მიმოიხედა გამოცემის
დილმა მურზაყანმა ტყეში.

— რა შეიძლება იყოს, ძალა მურზაყან! — ერთხმად შესძახეს
შეშინებულმა პიონერებმა...

— გამიგონია, ფურქამეჩს შეუძლია მგელსაც შეებრძოლოს და
შავი დღე დააწიოს...

— ბაჩა, ბა... ჩაა, ვაიმე, ბაა... ჩა! — რაც ხმა ჰქონდა, შესძახა
ამის გამგონება მიშიკომ. მერე ხმა გაქმინდა და ყური მიუგდო, შემდეგ
ანგარიშმიუცემლად კვლავ ძახილი მორთო, თითქოს მის ბაჩას მგლე-
ბის ხროვა მისეოდეს და პატარა მიშიკოს ამ ძახილით უნდა განსაც-
დელს ააცდინოსო.

და თქვენ რა გვინიათ? ბაჩამ მართლაც გაიგონა პატარა მწყემ-
სის ხმა!

— ო... ა... ყ! — მოისმა შორიდან, ძალიან შორიდან. ეს იყო
რაღაცნაირი გაკაჯებული, შეუდრეველი ხმა ჭირში მყოფი პირუტყ-
ვისა, რომელიც შველის ითხოვდა.

მწყემსები სირბილით შეცვივდნენ ტყეში, ერთ წუთს გადალა-
ხეს ქოჩორა მაღლობი და ტაფობზე დაეშვნენ. მუხის ქვეშ თავაწე-
ული, საბრძოლოდ შემართული, სულ მთლად დაძაგრული ბაჩა
ცეცხლოვანი თვალებით შეპყურებდა საშველად მოსულთ, რქები
და თავისერი სისხლში ჰქონდა ამოთხიბნილი, ქედზეც და წვივებ-
ზეც სისხლი სდიოდა. ჩანს, არც ისე იოლი იყო სამ მგელთან სამკვ-
დრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

— ბაჩა, ბა.. ა..ჩა! — შესძახა მიშიკომ და სწრაფად გაიქცა, რომ
კისერზე ჩამოვარდებოდა, მაგრამ მურზაყანმა ხელი სტაცა.

— შოიცა! პირუტყვი გამოერქვეს, დარწმუნდეს, რომ მოკეთე-
ები ვართ. ხომ ხედავ, როგორაა შემქრთალი, საშიშია!

— ბაჩა, ბაჩა! — დაუძახეს პიონერებმა.

— ბაჩა, ჰა, შე ყაჩაღო! — მოეფერა მურზაყანი.

— ო...ა....ა....ყ! — მშვიდად დააბარტყუნა ყურები ფურქამეჩმა.

— ზაქი სადღაა, ზაქი? — წამოიძახა მიშიკომ, — მგლებმა  არ შეუჭამეს?

— ვის დაანებებდა, იქ ეყოლება ჩამალული, თუ ზაქი არა, აქ რას გაუჩერდებოდა? — მშვიდად თქვა მურზაყანმა.

ფურქამების რომ მიუახლოვდნენ, ბუჩქის ძირას, თმახუჭუჭა შავი ზაქი დაინახეს, უვნებლად იწვა. უწყინარი პირუტყვი ცნობისმოყვარედ აცეცებდა ნახშირივით შავ თვალებს. ჯერ თავი შორს დაიჭირა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სათავილო აქ არაფერი იყო და უყოყმანოდ მიენდო გარს შემოხვეულ პიონერებს.

მიშიკო ბაჩას მიუბრუნდა, ჭრილობები მოუსინჯა, საშიში არაფერი იყო. მაშინ კისერზე მოუფხანა, ფურქამებიმა უძინარი თვალები წუთით მილულა, თავი წინ გამოსწია და წაგრძელებული ზმუილი აღმოხდა, რაც უფრო მძიმე საჩივარსა ჰგავდა: — ო... ა...-აპე!..

ფერმაში უამრავი ხალხი ირეოდა, კანტორაში მოკლული მგლის ტყავი ეგდო. ჭოვის ბამბურა ძაღლები გააღმასებული კბილებით იწევდნენ ნადირის ქურქისაკენ და მაშინვე ყმუილსა და გაანჩხლებულ ყეფას ტეხდნენ.

ბაჩას გმირობის ამბავი მთელ სოფელს მოედო. საოცრების სანახავად შორეული კუთხეებიდანაც მოვიდნენ. რაზანი ზიზღით შეჰურებდა მგლის დაგლეჭილ ტყავს. ფურქამები გაბანის შემჭმელ მგლებს ბაჩამ საკადრისი მიუზღო.

ერთი საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა, რატომ 'გაიქცა ტყეში ბაჩა? რამ აიძულა მგლების ხროვაში ამოეყო თავი, როცა შეეძლო მშვიდად წოლილიყო ფერმაში. ამაზე ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგი პეტკიცებდა, გაზულუქებულმა საქონელმა ასე იცისო, ზოგიც ამბობდა, თვითნება ბაჩას უცებ ალბათ რაღაც ხუჭურმა მოუარაო, მურზაყანმა კი თქვა:

— მიაჩვიეს ბავშვებმა ტყეში სიმინდის ყლაპვას და ალბათ ახლაც თავისი ამინდი ეგონაო.

ეს აზრი პიონერებს ჰქუაში დაუჭდათ, მათ ხომ საქმის ვითარება
ბა უკეთესად იცოდნენ.

— მომავალ წლიდან ყოველ პირუტყვს თავსაყრელად ექნება
კუინტი სიმინდის სილოსი. ვნახავ, ტყიდან აქეთ, ფერმაში მორბოდ-
ნენ. აი, გადავხნავთ ზღვის სანაპიროზე ნოყიერ ყამირს, ჩირგვნარს
ამოვძირკვავთ, დავამუშავებთ, უხვ მოსავალს მოვიყვანთ. მარცვლა-
დაც გვეყოფა და პირუტყვის საკვებადაც, — თქვა კოლმეურნეობის
თავმჯდომარებ ბიდამ.

პიონერებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ძია ბიდა, ჩვენთვის ცალკე გამოპყავით ნაკვეთი. მოვუვლით,
მოვთოხნით, კარგ მოსავალს მოვიყვანთ!.. — შესძახა მიშიკომ.

— ყოჩალ, ბიჭებო, თქვენ ყველგან გვეხმარებით ხოლმე, მაღ-
ლობელი ვარ! ეგეც იქნება, მოგცემთ ნაკვეთს.

მთელი ამ საუბრის ღროს ბაჩა მაღიანად ახრამუნებდა სიმინდს.
კეთილი თვალებით შეჰყურებდა ნაცნობ ბიჭუნებსა და თავის ხუ-
ჭუჭოთმიან ზაქს. წამდაუწუმ გაისმოდა რაღაცნაირად საამო, თბილი,
გულში ჩამწვდომი: ო-ა-აყ, ო-ა-ა-ყ! ყველა ამჩნევდა. ბაჩას ხმა იმ
ერთ დღეში სულ შეცვლოდა. მიშიკომ კი ფურკამეჩის გულისთქმის
ამოკითხვაც შეძლო და იმ რბილი „ო...ა...ყის“ თარგმნაც. ადამიანთა
ვნაზე ის ნიშნავდა: „რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენს შორის ვიმყო-
ლები!“

କର୍ମଚାରୀ ପରିଷଦ	—	5
ଶୁଣ୍ଡ (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		
ଶିଖାଯୁଦ୍ଧିତ୍ବ (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		9
କର୍ମଚାରୀ ପରିଷଦ	—	
ନିକାରି (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		13
ଶାଶ୍ଵତ ଅପରେସନ	—	
ଟାଙ୍କା ଓ ଶିଖି (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		29
ଶୈଳି ଧାରାଯିତ୍ତିକା	—	
ପିଲାହି (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		39
ଶୈଳି ଧାରାଯିତ୍ତିକା	—	
ଶ୍ରୀଲଙ୍କାନ୍ଧିନୀ (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		49
ଶାଲିକ ଜଗିତିକା	—	
ଶୁଣ୍ଡ (ତାର୍ଗମନ ମେଲ୍) ——————		57

МАЛЬЧИК И РУЖЬЕ. сборник абхазских детских произведений. (на грузинском языке), Дет-юниздат Грузинской ССР «Накадули», Тбилиси, 1969

ପ୍ରାଚୀନ୍ୟରେ କାହାରଙ୍କ ଜୀବିତରେ କାହାରଙ୍କ ଜୀବିତରେ

ର୍ହେଦୀୟରୁଣ୍ଠି ଶ. କୁଳାଶ୍ଵରୋପ, ମେବର୍ଗାରୀ ଶ. ଲେନିତାଶ୍ଵରୋପ,
ମେବର୍ଗ. ର୍ହେଦୀୟରୁଣ୍ଠି ଶ. ପାତ୍ରାଶ୍ଵରୋପ, ପ୍ରେର୍ଜନ୍ଧେନ୍ଦ୍ରାଶ୍ଵରୋପ
ଶ. କ୍ଷେତ୍ରଚାର୍ଚାର, କର୍ଣ୍ଣର୍ଜେନ୍ଦ୍ରାଶ୍ଵରୋପ ଓ ପାତ୍ରାନ୍ଦାରାଶ୍ଵରୋପ
ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵରୋପିଲୋହ, ଡାସାବ୍ଦେଶ୍ଵର 20/VII-69 ଟ. ପାତ୍ରାଲାଲିଙ୍କ
ଶର୍ମି 70X901/16, ବାଦ୍ରେଷ୍ଟି ତାବାବି 5,25, ବାଲାରିପୁକ୍ଷବି-
ଶାଖାମନ୍ତ୍ରେମଲ ତାବାବି 3 ଟିରାଯ୍ୟ 5,000 ଟଙ୍କା. № 4401
ଫାକ୍ସ 22 ପାତ୍ର.

გამომცემობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სახელმწიფო სამსახურის მინისტრის მიერ გვიცილებით სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავრობის დამატებით გრადუსის სტატუსის სტატუსი № 2 „ნაკადული“, უცრებლის ქ. 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5

362/834

